[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები
სარედაქციო—ციის 14—76, სტამბის—ტამბის—79

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს.
კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

პარასკევი 24 ივნისი 1921 წ.

№ 91 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 91

საგარეო პოლიტიკის ცენტრი.

მსოფლიო ცხოვრების მიმდინარეობის მომენტი უკანასკნელ ჟამს თითქო მხოლოდ ეკონომიური კრიზისით ხასიათდება. თითქო შეწყდა თოფ ზარბაზნების ქექა-ქუხილი, როგორც საგარეო, სახელმწიფოთაშორისო ფრონტზე, ისე მოქალაქო ფრონტზედაც.

მაგრამ ეს მხოლოთ ერთი შეხედვით, რადგან ჩვენი ყურადღება დღეს ერთიანათ ეკონომიურ ვითარებაზეა მიპყრობილი. თუ ერთ წუთს მაინც შევაჩერებთ ჩვენ ყურადღებას და მსოფლიო პოლიტიკურ ვითარებასაც ჩაუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე ბრძოლა ერთ წუთსაც არ შეჩერებულა, და რადგან ის მხოლოთ გაგრძელებაა ეკონომიურ სფეროში დაწყებულ ბრძოლისა, არ შეიძლება შეწყდეს მანამ, ვიდრე ეს ეკონომიური ბრძოლა და მისი დედა—მიზეზი, კაპიტალიზმი იბოგინებს.

ამაში ჩვენ ევროპის მიმდინარე ცხოვრების გათვალისწინებაც დაგვარწმუნებს.

გერმანია ეს რამდენიმე კვირაა, რაც მან იქ ამტყდარი აჯანყებები ჩაქრო და ანტანტას კვლავ დამორჩილდა, ხოლო სილეზიაში ავარდნილი ეროვნულ-სოციალური ალი ჯერაც არ დაცხრალა. აჯანყების ალ მოდებული ირლანდია ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით ინდოეთი ანტანტის ბელადს, ინგლისს მოსვენებას არ აძლევს და იძულებულს ჰყოფს თავისი ძლიერი მუშტი ხანდახან მათაც უჩვენოს, რომ მორჩილებაში იყოლიოს.

აჯანყების ალი არც იტალიაში ცხრება: დღევანდელი რადიო გვაუწყებს, რომ სიცილიის ქალაქში, სირაკუზაში დიდი ბრძოლა გაიმართა შეიარაღებულ მუშებსა და ბურჟუაზიულ თეთრგვარდიელებს (ფაშისტებს) შორის. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ევროპის გულში კვლავ გუგუნებს რევოლიუციის ცეცხლი, რომელიც არ ჩაფერფლილა და ელის მომენტს, როცა ის კვლავ ძალას მოიკრებს და მთელი თავისი ძლიერებით ამოხეთქს და მთელ დედამიწას მოედება.

როდის დაჰკრავს ეს საათი, ძნელი სათქმელია, ვით ეს ძნელი იყო ამ სამი წლის წინათ, როცა კომუნისტური პარტია თავის ტაქტიკას მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების მოლოდინში ჰქმნიდა.

მაგრამ რომ უთუოთ დაჰკრავს ამ ახლო მომავალში, ამას ყველაფერი მოწმობს! კაპიტალიზმის სასიცოცხლო ძარღვი წინათაც მსოფლიო ბაზარი იყო და ახლაც ის არის. სწორეთ ამ ძარღვის დასაპყრობათ აღმართა მახვილი ურთიერთის წინააღმდეგ ორმა კაპიტალისტურმა კოალიციამ გერმანიის მეთაურობით ერთმა, ხოლო მეორემ ინგლისის მეთაურობით მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მათმა საბედისწერო—ბრძოლამ—ომმა წარმოშვა მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია, რომელმაც ჯერჯერობით ამ სამი-ოთხი წლის გიგანტიური ბრძოლით საბჭოთა რესპუბლიკების დაარსების სახით გაიმარჯვა ქვეყნათ.

ამნაირათ რუსეთის დიდი რევოლიუციის გამარჯვების დღიდან მსოფლიოში ერთურთს დაუპირდაპირდა ორი ძალა: კაპიტალისტური და პროლეტარული, ბურჟუაზიული სახელმწიფოები და საბჭოთა რესპუბლიკები.

წინათ თუ მხოლოთ ორი მებრძოლი მხარე, ორი კაპიტალისტური კოალიცია საგარეო ფრონტზე მხოლოთ ერთიმეორეს მსოფლიო ბაზრისთვის ებრძოდა, დღეს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული არა მარტო ამ ორ ძველ კოალიციებ შორის, არამედ უმთავრესად ორ კლასობრივ მოპირდაპირეს შორის, ბურჟუაზიისა და მუშათა კლასს შორის.

მთელი სიახლე, ახალი ძირითადი დამახასიათებელი მოვლენა მსოფლიო ვითარებისა იმაში მდგომარეობს, რომ წინათ კლასობრივი ბრძოლა შინაურ ფარგლებში იყო მომწყვდეული, ხოლო საბჭოთა რესპუბლიკის პროლეტარულ სახელმწიფოს დაარსების დღიდან მან თავისი ფრონტი გარეთაც გადაიტანა. მან ამ წუთიდან მსოფლიო სახელმწიფოთა შორისო ფრონტიც გაჩაღა და აქედან წარმოსდგა მისი მსოფლიო საგარეო პოლიტიკის წარმოების საჭიროება: კაპიტალიზმის იმპერიალისტურ პოლიტიკას დაუპირდაპირდა საბჭოთა პროლეტარული პოლიტიკა და ამ ნიადაგზე გაჩაღდა სრულიად ახალი ბრძოლა. და ეს ახალი ბრძოლაა, ეს ახალი მსოფლიო ფრონტია, რომ მთავარ ყურადღებას იპყრობს ერთი მხრით კაპიტალიზმის ბელადისას, ლოიდჯორჯისას, ხოლო მეორე მხრით სოციალიზმის განსახორციელებლის გამომხატველისას, მსოფლიო მებრძოლ პროლეტარიატის წინამძღოლისას, ლენინისას.

ტყუილა კი არ ცდილობს პირველიც და მეორეც გამონახოს საგარეო პოლიტიკის ისეთი ბერკეტი, რომლითაც ქვეყნიერების გადაბრუნება შეიძლებოდეს: პირველისათვის კაპიტალიზმის გამოსაბრუნებლათ, ხოლო მეორესათვის სოციალიზმის დასამყარებლად.

ორივეს თვალი და ყური ამ მიზნით მიპყრობილია დღეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ და ამ ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებულ მხარეებისაკენ. ეს ქვეყნებია მცირე აზია ერთი მხრით და ბალკანეთი მეორე მხრით. პირველთან მთელი აზიაა დაკავშირებული, ხოლო მეორესთან მთელი ევროპა. როგორც ვიცით, აი აქ, ქვეყნიერების ამ ცენტრში იბრძვის დღეს ორი სახელმწიფო: ახალი, თავისუფალი ოსმალეთი და საბერძნეთი და ამ ორი სახელმწიფოს ბრძოლასთან დაკავშირებულია ორი მსოფლიო ბუმბერაზ ძალების ბრძოლაც—კაპიტალისტური ანტანტის და საბჭოთა რესპუბლიკების, იმპერიალისტური პოლიტიკის და საბჭოთა რუსეთის აღმოსავლეთურ პოლიტიკის.

დეპეშებით ცნობა უკვე იყო, რომ ინგლისმა თავისი დამოკიდებულება ოსმალეთის ნაციონალურ ახალ სახელმწიფოსთან შეცვალა, კურსი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკისა შეატრიალა და ფიქრობს ისევ სამხედრო მოქმედების გზას დაადგეს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ანტანტის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში კვლავ დამარცხდა, ლოიდჯორჯის იმედი, რომ ქემალ-ფაშას მოტყუებას შეძლებდა და მას ზოგი დაპირებებით მოხიბლავდა, გაქრა-გაბათილდა.

სამაგიეროთ, როგორც ამასწინათ ოსმალეთიდან მოსული ამხანაგი მოწმობს (ამხ. ბუდუ მდივანი) განახლებული ოსმალეთის მთავრობა, არა თუ მარტო მთავრობა, არამედ მხნელად მთელი ხალხი სასოებით შეჰყურებს საბჭოთა რუსეთს და თავის ხსნოლოდ ბოლშევიკური ქვეყნები მიაჩნია. „დღევანდელი ოსმალეთი ყველას სწყევლის და ქვა-გუნდას აყრის, მხოლოდ ერთად-ერთი ქვეყანა, რომელზედაც ის დღეს ლოცულობს, ეს საბჭოთა რუსეთია“, სთქვა ბუდუმ.

და ამიტომ იპყრობს დღეს, ვიდრე ოდესმე მეტ ყურადღებას და თანაგრძნობას მისას ჩვენი პატარა საბჭოთა საქართველო, რომელიც ყველა ზემოთ დასახელებულ გარემოებათა მეოხებით გახდა მცირე აზიასთან და ბალკანეთთან ერთად ცენტრი მსოფლიო მებრძოლ ძალთა ყურადღებისა და რომელიც უნდა გახდეს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გამტარებელი აღმოსავლეთში.

საბჭოთა რუსეთის პრესა

ბ. მილიუკოვის მხილებანი.

ბ. მილიუკოვი არა მარტო პოლიტიკია, არამედ ისტორიკიც. უკანასკნელი მისი თვისებანი აიძულებენ მას ხშირათ წამოროშოს ისეთი ჭეშმარიტებანი, რომელთა შესახებაც ის უნდა გაჩუმებული იყო. მაგრამ რას იზამ! „ენა ჩემი, მტერია ჩემი“. ჩვენ სრულიად აზრადაც არ მოგვდის ვასწავლოთ ბ. პროფესორს პოლიტიკური სიფრთხილის წესები. პირიქით, ბ. მილიუკოვის როშვით ჩვენ ვსარგებლობთ მუშათა კლასის მიზნებისა და ინტერესებისათვის.

აი რას სწერს ბ. მილიუკოვი თავის მოკავშირეების, ესერებისა და კადეტების შესახებ (იხ. „პოსლედნიე ნოვოსტი“ № 318, 8 მაისიდან).

„როგორც იცით, ზომიერი (ანტი ბოლშევიკური) სოციალისტური პარტიები რევოლიუციის თვით დაწყებიდანვე და დღემდისაც იდგენ „დემოკრატიის“ და არა „სოციალიზმის“ პლატფორმაზე უკანასკნელის დაუყოვნებლივ განხორციელების აზრით. მარტის რევოლიუციის შემდეგ ეს პარტიები ჩავარდნენ თითქმის—სწორეთ ამავე მიზეზით—ძნელ და შინაგან წინააღმდეგობით აღსავსე მდგომარეობაში.

მათ მოუხდათ „ბურჟუაზიულ“ რესპუბლიკის იდეის დაცვა ბოლშევიკურ დემაგოგიის წინააღმდეგ. ეს იყო ის, რამაც აიძულა ერთი ორ ძლიერ პარტიათაგანიდან (ს.-დ.) გამოსულიყო, რაც არ უნდა ყოფილიყო, „დემოკრატიულ“ ელემენტებთან კოალიციის მომხრეთ თითქმის კოალიციიდან მათი ლიდერის (წერეთლის) გასვლის შემდეგაც კი. სამოქალაქო ომისა და საზღვარ გარეთ გაძევების გამოცდილებამ სრულიადაც ვერ შესძლო გაეხადა ეს პარტიები უფრო რადიკალურათ სოციალიზმის დაუყოვნებლივ განხორციელების შესაძლებლობის შეხედულებით. თუ ისინი ახლა იკავებენ ტაქტიკის უფრო რადიკალურ ხაზს და მზად არიან დაგმონ თავიანთი წინანდელი (წინა—ბოლშევიკური) დამოკიდებულება „კოალიციის“ იდეასთან, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, არასოციალისტურმა ელემენტებმა ძალიან გაიტეხეს სახელი რუსეთის მასსების თვალში, და მეორეთ, იმიტომ, რომ თვით რუსეთში ეს ელემენტები მეტის მეტად დაქსაქსულია, რომ შეიძლებოდეს მათში საქმიანური მოკავშირეების გამონახვა“ (კურსივი ჩვენია).

ესერებისა და მენშევიკების ეს დახასიათება მეტისმეტად სწორია, შეიძლება ითქვას, პირდაპირ საუცხოვოა. რას ამბობს მილიუკოვი? ის რუსეთის ბურჟუაზიის მოწოდებული ბელადია და მასთან მისი უჭკვიანესი ბელადი. ის არაა კაუცკი, რომელსაც არ ესმის განსხვავება ბურჟუაზიულ დემოკრატიასა და სოციალიზმს შორის. ის ნათლად და გარკვევით ამბობს: „მათ (ესერებს და მენშევიკებს) მოუხდათ დაეცვათ „ბურჟუაზიული“ რესპუბლიკის იდეა ბოლშევიკური დემაგოგიის წინააღმდეგ, სოციალიზმის დაუყოვნებლივ განხორციელების წინააღმდეგ. ამრიგათ, რაშია ხედავს ბურჟუაზია, რომელიც ლაპარაკობს მილიუკოვის პირით, ესერებისა და მენშევიკების საზოგადოებრივ როლს? იმაში, რომ ეს პარტიები აწარმოებენ ბრძოლას სოციალიზმის წინააღმდეგ. ეს ისე სწორია, რომ მეტი არ შეიძლება, ეს პირდაპირ თვალებში სცემს.

რა უნდა ქნას ბურჟუაზიამ ახლა, როდესაც „არა სოციალისტური ელემენტებმა ძალიან გაიტეხეს სახელი რუსეთის მასსების თვალში?“ თავისთავად ბურჟუაზია აკეთებს დასკვნას: თუ ჩვენ (ბურჟუაზიამ) სახელი გავიტეხეთ, უნდა გავაკეთოთ საქმე სხვისი ხელებით, იმათი ხელებით, რომლებიც აგრეთვე იბრძვიან სოციალიზმის წინააღმდეგ, ე. ი. ესერებისა და მენშევიკების ხელით. და ბ. მილიუკოვიც აფასებს რა კრონშტადტს და სხვას პირდაპირ, სწორათ და გარკვევით სწერს:

„მემარცხენე ელემენტების როლი ამ ამბებში ჩვენთვის ეჭვს გარეშეა. სწორი რომ ყოფილიყო, როგორც ფიქრობს „ვოლია როსიი“, რომ არასოციალისტურ ელემენტებისათვის რუსეთში ამჟამათ არაა ადგილი, ეს სრულიადაც არ შეცვლიდა ჩვენს შეხედულებას მიმდინარე ამოცანებზე, და მხოლოდ გააძლიერებდა მას. ჩვენ ვეტყოდით ამ ორ ძლიერ პარტიას, რომლებსაც სურთ მონოპოლია უყონ შინაურ ბრძოლას: პატივი—და ადგილი“. (კურსივი ჩვენია)

გესმით თქვენ ბ.ბ. ესერებო და მენშევიკებო ვ. მილიუკოვი (მილიუკოვი!!) გეუბნებათ თქვენ „პატივი და ადგილი“. რომელ თქვენს „პატივზე“ ლაპარაკობს მილიუკოვი? თქვენს ბრძოლაზე სოციალიზმის წინააღმდეგ. რომელ „ადგილზე“ სწერს ის? ლაქიების, ბურჟუაზიის აგენტებს, სოციალიზმის გამცემლებს თქვენს ადგილზე. მას ყველაფერი გამოანგარიშებული და აწონილი აქვს. ვინაიდან ბურჟუაზიამ მშვენივრათ იცის, თუ რა სურს მას „ბრძოლის მონოპოლიზაციის“ პატივი სოციალიზმის წინააღმდეგ, როგორი გახრწნილებაა ეს იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ბედავენ უწოდონ თავიანთ თავს სოციალისტები.

ესერული „ვოლია როსი“ (№ 188, 27 აპრილი) გვახარებს:

მართლაც, არაა საჭირო განსაკუთრებით სწორი დამკვირვებელი იყო, რათა დაინახო, რომ სხვა რეალური შეკავშირებული მოწინააღმდეგენი საბჭოთა მთავრობას არა ყავს.

არავითარი სხვა შეკავშირებული და შემაკავშირებელი ძალები, გარდა ესერებისა, რუსეთში არაა.

და მართლაც აბა ერთი შეეცადეთ გამონახოთ თანამედროვე რუსეთის ცხოვრებაში რუსეთის ცენზიანი პარტიების რაიმე გავლენა?“

ეს მსჯელობა ჭეშმარიტად რომ დიდებულია, განსაკუთრებით „წმინდა დამკვირვებელთათვის.“ ესერები ტრაბახობენ, რომ არიან „შემაკავშირებელი ძალები“, გარდა კაპიტალის სოციალ ნოქრებისა. მაგრამ, მშვენიერო ვაჟბატონებო, რას აწყობთ თქვენ? თქვენ აწყობთ მას, რისთვისაც ბ. მილიუკოვი გაძლევთ თქვენ თეთრი დროშის ორდერს. თქვენ აწყობთ კონტრ-რევოლიუციას, რისთვისაც თქვენ გაქებს ბ. მილიუკოვი. თქვენ ასრულებთ მის საქმეს. ის თქვენ დიდის სიამოვნებით გითმობს პატივსა და ადგილს. და მართლაც „არაა საჭირო განსაკუთრებით სწორი დამკვირვებელი იყო,“ რომ დაინახო, თუ ხადაა „რუსეთის ცენზიანი პარტიების გავლენა“. ჩაიხედეთ სარკეში მარტოვებო და ჩერნოვებო!

მილიუკოვმა ამხილა კონტრ რევოლიუციის მთელი თამაში ბოლომდის. ყოველი სულ ცოტათი შეგნებული მუშაც იტყვის: მათ, ვისაც ბურჟუაზია პატივსა და ადგილს თავაზობს, არ შეიძლება ჰქონდეთ პატივი და ადგილი მუშათა კლასის წრეში. „პრავდა“ № 110.

ამხ. ლენინის უკანასკნელი სიტყვა

ნატურალური გადასახადების შესახებ.

ამხანაგებო, პირველ ყოვლისა მე მსურს ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ კოოპერაციის საკითხის შესახებ. ამხ. ციურუპის მოხსენება, როგორც ეს თვითონ განაცხადა და როგორც ჩვენც მოვისმინეთ, არ იყო თანამოხსენება, რადგან მომხსენებელს არ წამოუყენებია პრინციპიალურათ სხვა თვალსაზრისით განხილული გზა. ცენტრ. კომიტ. გადაწყვეტილება—გაწერვის სისტემის ბეგარით შეცვლის შესახებ, იყო იმდენათ ერთსულოვანი, რომ მიზანშეწონილობა და აუცილებლობა მისი ყოველ ეჭვს გარეშეა; და რაც უმთავრესია, ჩვენ იმ თავითვე შევამჩნიეთ, ყრილობის მუშაობის დაწყებამდე. რომ ადგილობრივ ამხანაგები, ჩვენგან დამოუკიდებლივ, პრაქტიკულ გამოცდილების კარნახით, ამავე დასკვნამდის მიდიოდენ ამხ. ციურუპის მოხსენებაც შეიცავდა სხვა და სხვა დამატებებს და გაფრთხილებებს ამ საკითხის შესახებ, თორემ სხვაგვარი პოლიტიკის გეგმებს მასში ადგილი არ ქონებია.

ამ საერთო ხაზის გადახვევა ამხ. ციურუპის მოხსენებაში ჩვენ დავინახეთ მხოლოდ კოოპერაციის საკითხში. აქ ამხ. ციურუპი გვეკამათებოდა ჩემ მიერ წამოყენებულ რეზოლიუციის წინააღმდეგ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი დებულებები ამ მხრივ სრულებით არ არიან სარწმუნონი. როგორი გზით შეიძლება განვითარება ადგილობრივი თავისუფალი მეურნეობის მსვლელობისა—კოოპერაციის საშუალებით, თუ წვრილი კერძო ვაჭრობის აღდგენით, ამ ჟამად საბოლოოდ ამ საკითხის გადაჭრა მე მგონია ძლიერ ძნელია. ეჭვს გარეშეა, ეს საკითხი განხილულ და შესწავლილ უნდა იქნეს და ამ მხრივ ჩვენი მოვალეობაა ადგილობრივ გამოცდილებას დიდი ანგარიში გაუწიოთ. ამაში ჩვენ ყველანი შევთანხმდებით. მიუხედავათ ამისა მე ვფიქრობ, რომ კოოპერაციის უპირატესობა მაინც ძალაში რჩება. თუ იგი პოლიტიკურათ, როგორც მე უკვე აღვნიშნე, არის საშუალება პოლიტიკურათ ჩვენი მოწინააღმდეგე ელემენტების შეერთებისა, ორგანიზაციისა და ცენტრალიზაციისა. რომელნიც არსებითად ახორციელებენ კოლჩაკისა და დენიკინის პოლიტიკას, ამ მხრივ კოოპერაცია, რა საკვირველია, წვრილ მეურნეებთან და წვრილ ვაჭრობასთან შედარებით სცვლის მხოლოდ ამ საქმიანობის ფორმას. ცხადია, ყოველგვარ [illegible] გამოყოფა „კულაჩესტვო“-სი [illegible] ვითარება წვრილ ბურჟუაზიულ დამოკიდებულებისა—ბადებენ სა[illegible] პოლიტიკურ პარტიებსაც, რომელნიც ათწლობით იქმნებოდენ წინათ რუსეთში და რომელთაც ჩვენ ძალიან კარგათ ვიცნობთ. ამ შემთხვევაში არჩევანი ასე კი არ უნდა იქმნეს დასმული—მივსცემთ თუ არა არსებობის საშუალება ასეთ პარტიებს (ისინი აუცილებელი შედეგია წვრილ-ბურჟუაზიულ ეკონომიურ დამოკიდებულებათა),—არამედ იგი უნდა ეხებოდეს ასეთი პარტიების კონცენტრაციის, შეერთებისა და მოქმედების ფორმებს და ისიც მხოლოდ რამოდენიმეთ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამტკიცებულ იქნას, რომ ამ მხრივ კოოპერაცია უფრო სუსტი და გამოუსადეგარი საშუალებაა. პირიქით, კოოპერაციაზე სისტემატიური გავლენისა და კონტროლის საშუალებანი კომუნისტებს ყოველ შემთხვევაში მეტი ექმნებათ.

მე 9 ყრილობის,—კოოპერაციის შესახებ მიღებულ, რეზოლიუციას აქ კატეგორიულად იცავდა ამხ. ციურუპი და ასევე კატეგორიულად უარყოფდა მას ამხ. მილიუტინი. ამხ. ციურუპმა სხვათა შორის ისიც აღნიშნა, რომ მე მოწამე ვიყავი ამ ბრძოლისა, რომელიც სწარმოებდა კოოპერაციის საკითხის გარშემო. ყრილობის მიერ მის საბოლოო გადაჭრამდეო. ამ ფაქტს მე ვადასტურებ. ბრძოლა მართლაც იყო და მე 9 ყრილობამ მას სავსებით ბოლო მოუღო სასურსათო უწყებისადმი დიდი უპირატესობით, ან რაც უფრო სწორი იქნება, მთელი უპირატესობის მიკუთვნებით. მაგრამ, ამ მოსაზრებით, კოოპერაციაში უარყოფა, უფრო მეტი თავისუფალი მოქმედებისა და პოლიტიკური გზების არჩევისა ქნებოდა, ეჭვს გარეშეა. პოლიტიკურათ არა სწორი ნაბიჯი. ჩემთვის მაგალითად, როგორც სახ. კომის. საბჭ. თავმჯდომარისთვის, ბევრათ უფრო უხერხო იქნებოდა ათეულ სხდომებზე თვალყური მედევნებია ამ ბრძოლისათვის, ვინემ მზათ მქონებოდა ყველასათვის სავალდებულო რეზოლიუცია ყრილობისა, რომელიც სავსებით ბოლოს მოუღებდა ამ ბრძოლასა და კამათს. მაგრამ ანგარიში უნდა გაუწიოთ არა ასეთ, პირადათ ხელსაყრელ პირობებს, არამედ გარკვეულ ეკონომიურ პოლიტიკის გატარების საჭიროებას. თქვენ ყველამ დაინახეთ აქ ის აუარებელი წვრილმანი შეკითხვები, რომელიც მე მივიღე; აუარებელი შეკითხვები: ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს იმას, რომ ამ კონკრეტ საკითხში, ახალი პოლიტიკის გატარების დროს ძლიერ ბევრი წვრილმანი დაბრკოლებები შეგვხვდება. ამაშია საკითხის არსებითი მხარე და არავითარი ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ ერთის დაკვრით ჩვენ ამ დაბრკოლებებს მოვსპობთ. მაგრამ თუ მე-9 ყრილობის რეზოლიუციას, კოოპერაციის შესახებ, ჩვენ ძალაში დავსტოვებთ ამით საბოლოოდ შევიბორკავთ ხელ-ფეხს. ჩვენ ჩავარდებით ისეთ მდგომარეობაში, როცა, ვალდებულნი ვართ რა სავსებით დავემორჩილოთ ყრილობას და გავატაროთ მისი პოლიტიკა, ერთი ბიჯიც კი არ გადავდგათ ამ რეზოლიუციის რომელიმე სიტყვის პირდაპირი შინაარსის წინააღმდეგ. რეზოლიუცია ყოველ მუხლში გვახსენებს ჩვენ გაწერვის სისტემას და ის კი თქვენ შესცვალეთ ბეგარით. აუცილებელია, ჩვენ რამოდენიმეთ მაინც უნდა დავსტოვოთ თავისუფლება სამეურნეო წარმოებისა. საამისო ეკონომიური პირობები უნდა გამოვარკვიოთ და გავსინჯოთ ამის გამო, რასაკვირველია, მე-9-ე ყრილობის რეზოლიუციის შეცვლა, ჩვენ ხელახლა გვაგდებს ისეთ მდგომარეობაში, როცა თითქოს გადაჭრილი საკითხი, რამოდენიმეთ მაინც ისევ ღიათ რჩება. მაგრამ ეს აუცილებელი გარემოებაა. ამის გვერდის ახვევა მოსწყვეტელი იქნებოდა, ჩვენ მიერ ეკონომიურ პოლიტიკაში განზრახულ ცვლილებათა ძირიანად შერყევისა მაშინ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, გლეხობისთვის იგი ბევრათ უფრო ხელსაყრელია.

გაწერვის სისტემის ბეგარით შეცვლა, რომ უფრო ხელსაყრელი ეკონომიური პოლიტიკა არის გლეხობისათვის, ამის გარშემო მე მგონია არც ჩვენ ყრილობაზე, არც კომუნისტებში აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს. ამავე საკითხზე ჩვენ მთელი რიგი განცხადებები გვაქვს ფლით უპარტიო გლეხობისაგანაც. ეს უტყუარი გარემოებაა. და თუ გინდ მხოლოდ ამისათვისაც ჩვენ ვალდებულნი ვართ წავიდეთ ასეთ ცვლილებაზე. ამისათვის მე ხელ-ახლავ წაგიკითხავ რეზოლიუციას კოოპერაციის შესახებ: „ვინაიდან რ. კ. პ. მე-9 ყრილობის რეზოლიუცია კოოპერაციისადმი დამოკიდებულების შესახებ—სავსებით აშენებულია გაწერვის სისტემის პრინციპზე, რომელიც ამ ჟამად იცვლება ბე-

გარით, რ. კ. პ. მე-10 ყრილობა ადგენს: აღნიშნული რეზოლიუცია გააუქმოს. ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაოს და გაატაროს პარტიულ და საბჭოს წესით დადგენილება, რომელიც გააუმჯობესებდა და განავითარებდა კოოპერატივების არსებობას და მოქმედებას, თანახმად რ. კ. პ. პროგრამისა და გაწერის სისტემის ნატურალი ბეგარით შეცვლის მიხედვით. მე წინადადებას ვაძლევ ყრილობას, ცენტ. კომიტ. სახელით, მიიღოს პირველი რეზოლიუცია—სანიმუშო პროექტი გაწერის სისტემის ბეგარით შეცვლისა—დაადასტუროს იგი და მიანდოს ცენტ. კომ. პარტიისას შეათანხმოს, დაამუშაოს და შეიტანოს სრულ. რუსეთ აღმას. კომიტეტში—და აგრეთვე მიიღოს მეორე რეზოლიუციაც კოოპერატივების შესახებ.

საბჭოთა რუსეთში

გრუკავროსტას დეპეშები.

თავისუფალ გადაცვლის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა დადგენილება, რომლითაც ყველა მოქალაქეთ ნება ეძლევათ სასოფლო სამეურნეო სურსათის თავისუფალ გადაცვლისა, ყიდვა გაყიდვისა, რომელიც მცხოვრებთ სასურსათო გადასახადის შემდეგ რჩებათ და აგრეთვე იმ შინა მრეწველობისა და წვრილ წარმოებათა ნაწარმოებთა და საგნებისა, ზოგიერთების გარდა, რომლის შესახებაც სპეციალური დადგენილება აქვს ცენტრალურ ხელის უფლებას. სახელმწიფო საქონლის გადასაცვლელი ფონდი სასურსათო სახალხო კომისარიატის გამგებლობაშია და მათ გადაცვლას უმთავრესათ კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით აწარმოებს, აგრეთვე კერძო შემთხვევებში კერძო პირთა დახმარებითაც, რომლებიც საკომისიოს იღებენ. ვაჭრობა ბაზარზე და სხვა ალაგას თაბახებითა, ღია და დახურულ სავაჭროებში იმ წესით ხდება, რომელსაც გამოსცემს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები სასურსათო და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთა მიერ გამოცემულ საერთო ინსტრუქციის ფარგლებში.

საქონლის გაცვლა სოფელთან.

სასურსათო სახალხო კომისარი და საგარეო სავაჭრო სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთა კრებაზე გამოირკვა, რომ რუსეთის და უკრაინის ლაშქრის სურსათით უზრუნველსაყოფათ აუცილებელია გაუცვალოს სოფლებს სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებში სხვადასხვა საქონელი 160 მილიონის, ოქროს ანგარიშით.

შინა წარმოების საქონელი რუსეთში და უკრაინაში მოიძებნება 75 მილიონ მანეთისა, დანაკლისი საქონელი საჭიროა შევიძინოთ საზღვარ-გარეთ. ამისათვის ჩვენ გვჭირდება ავიღოთ ჩვენ ოქროს მარაგიდან 85 მილიონი მანეთი ოქროთი. ამ 85 მილიონ მანეთით განზრახულია შეიძინონ საზღვარ-გარეთ: 35 მილიონის სხვადასხვა სასოფლო მეურნეობის ინვენტარი, განსაკუთრებით გლეხებთან გასაცვლელად მანუფაქტურა, ძაფი 25 მილიონისა, რკინის ნაწარმოები 15 მილიონის, საგალანტერეიო ხუთი მილიონის, ფეხსაცმელის მასალა 5 მილიონისა.

პეტროგრადის ქარხნებში უკვე მზადდება ნაწარმოებთა პირველი რიგი, რომელიც დანიშნულია სოფელთან გადასაცვლელათ მუშათა კოოპერატივების საშუალებით. არსენალმა დაამზადა 500 სახნისი. 2,000 კბილი ფარცხისათვის, 200 ტაფა, 100 ვედრო, 200 კარების კოჭაკი.

მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება.

მოსკოვი. 16 ივნისი. (რადიო). პეტროგრადში გადაწყდა გეგმის მიხედვით დაურიგდეს მუშებს ჭურჭლეულობა, და საწყობებში შენახულ დგამის აღსარიცხავად შესდგეს მუშათა ბრიგადა. აღრიცხვის შემდეგ მთელი დგამი დანაწილდება მუშებს შორის.

ბახმუტი. 14 ივნისი. (რადიო). იუზოვის ქვა-ნახშირის რაიონში კომინტერნის კონგრესის პატივსაცემლათ გამართული კვირაობა საუცხოვოთ ჩატარდა. ამოიღეს 425 ათასი ფუთი ქვა-ნახშირი ის მოხმარებულ იქნება სოფლების ნაწარმოების საქონელზე გადასაცვლელად. (კავროსტა).

ქალთა საერთაშორისო კონფერენცია.

მოსკოვი. 15 ივნისი. (რადიო)- დასაწყისი არაა მიღებული. კომუნისტ-ქალის დანიშნულებაა აქტივობის გაღვიძება და პირველ რიგში აგიტაცია პროლეტარიატის პოლიტიკურ ხელისუფლების მოსაპოვებლად. ეკონომიურ საკითხების მოწესრიგება უნდა გამოვიყენოთ კაპიტალისტურ წყობილების დაცხობის აუცილებლობის გამოსარკვევად და არა რეფორმებისათვის. გერმანიის ქალთა დელეგატი გერტენი მოხსენებას აკეთებს კაპიტალისტურ ქვეყნებში სადიქტატურო ბრძოლის შესახებ და აღნიშნავს, რომ ქალისთვის პროლეტარიატის დიქტატურა უფრო საჭიროა, ვიდრე კაცისათვის. ის მას მიანიჭებს ორგვარ განთავისუფლებას: კაპიტალისტურ მონობისაგან და ოჯახურ მონობისა და ბურჟუაზიულ ყოფა-ცხოვრებისაგან. კომუნისტურმა პარტიამ რევოლიუციის დროს უნდა გამოიყენოს ქალი ყველა მუშაობაში. საჭიროა, რომ ქალებმა იცოდნენ იარაღის ხმარება, რევოლიუციონურ ბრძოლებში უშუალო მონაწილეობის მისაღებათ უმთავრესათ კი საჭიროა, ხელი შეეწყოს ქალთა კომუნისტურ მოძრაობის საერთო კომუნისტურ მოძრაობასთან დაკავშირებას. დელეგატი ქალი ამთავრებს თავის მოხსენებას გერმანიის მარტის ამბების მოგონებით და აღნიშნავს, რომ პროლეტარიატის დამარცხება, აქტიურ ბრძოლის შემდეგ მას უფრო აძლიერებს.

ავსტრიის დელეგატი ქალი ბერდჩე აღნიშნავს, როდესაც დაწვრილებით ვარკვევთ ცენტრალურ ევროპის ეკონომიურ მდგომარეობას, რომ ის... (დამახინჯებულია)... გადაუწყვეტილობის და მოუმზადებლობისა აქტიურ მოქმედებისათვის. (დამახინჯებულია...)ნაწილობრივ მიზეზი ქალის ჩამორჩენისა რევოლიუციონურ ბრძოლაში მომუშავე ქალმა არ უნდა წამოაყენოს თავისი სპეციალურ განსაკუთრებული მიზნები: ის უნდა გარდიქცეს რევოლიუციონურ მებრძოლათ პროლეტარიატის დიქტატურისათვის. ამხ. ვოლნაია (უკრაინა), სცნობს აუცილებლათ სხვა და სხვა მეთოდების მოხმარებას ქალის რევოლიუციონურ ბრძოლაში ჩასაბმელად, სხვა და სხვა გვარ სოციალისტურ ჯგუფებთან შეფარდებულათ. დასკვნის სიტყვაში ამხ. გერტენი ამყარებს კონფერენციის სრულ გაერთიანებას ძირითად პრინციპიალურ საკითხებში და აღნიშნავს აუცილებლობას ყოველგვარ ხელის შეწყობის მუშათა ახალგაზდობის კომუნისტურ კავშირისათვის. (გამოტოვებულია). ქალთა მოძრაობას მხარს დაუჭერდა კომუნისტურ პარტიის აპპარატი (კავროსტა).

საზღვარ გარეთ

გრუკავროსტას დეპეშები.

აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტა.

ბათომი. 18 ივნისი. (ტელეგ.) თანახმათ გაზეთების ცნობისა ანტანტამ დაკარგა ყოველივე იმედი აღმოსავლეთის საკითხის მშვიდობიანობის გზით დაბოლოებისა, გადაწყვეტილია დააჩქარონ ბერძნების შეტევა ანატოლიის წინააღმდეგ.

მდგომარეობა საბერძნეთში.

ტრაპეზუნდი. გაზეთ „ისტიქბალი" გვაცნობებს, რომ საბერძნეთის მდგომარეობა თან და თან უარესდება. ათინის ქუჩებში [illegible] ძლიერდება მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. ფულის კურსი განუწყვეტლივ ეცემა. იმავე ცნობით ანატოლიაში ბერძნების ფრონტი კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფება. დეზერტირობა ძალიან გავრცელებულია, ერთად ერთი გამოსასვლელი გზა ამ მდგომარეობიდან არის მთავრობის მთელი შემადგენლობის დაუყონებლივი გადადგომა.

გერმანიის წარმომადგენლობა რუსეთში.

მოსკოვი. როგორც მოსკოვის ფრანგული გაზეთი „მასკუ" გადმოგვცემს გერმანიის მთავრობის წრეებში გადაწყვეტილია დანიშნონ გერმანიის წარმომადგენელი რუსეთში. გერმანიის წარმომადგენლათ განზრახულია კანდიდატურა ავსტრიაში მყოფ გერმანიის წარმომადგენლის როზენბერგისა.

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობის გადასვლა ანგორაში

ბათომი. 18 ივნისი. (ტელეგრაფი). რ. ს. ფ. ს. რ. საინფორმაციო განყოფილება ტრაპეზუნდიდან რადიოთი გვატყობინებენ: რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელი ოსმალეთში ამხ. ნაცარიუსი მთელი მისიის შემადგენლობით გაემგზავრა სამსახურიდან ანგორაში ბერძნების სამხედრო ფლოტის მიერ შავ ზღვაზე სამხედრო მოქმედებათა დაწყების გამო.

კომუნისტთა დევნა ინგლისში.

მოსკოვი. კომუნისტების დევნამ ინგლისში უკანასკნელ დროს ფრიად მკაცრი ხასიათი მიიღო. ლონდონის პოლიციის მიერ დატუსაღებული და სასამართლოსადმი გადაცემულ იქმნა ლონდონის კომუნისტური პარტიის „მდივანი: ინგლისის პარტიის დამაარსებელი რობერტ სტუარტი, აგრეთვე დატუსაღებულია და გადაწყვეტილი აქვს 3-თვის კატორღაში მუშაობა" ამბოხებისა და აჯანყებისადმი მოწოდებისათვის. პროცესის დროს სასამართლოს შენობასთან მოიკრიბა 3,000 კომუნისტი, რომელთაც ამართეს რა წითელი დროშა, გაიიოდენ ქუჩებში ყვირილით: „მოგვეცით სტუარტი." პოლიციამ დემონსტრანტები გაფანტა და წესიერება აღადგინა. კომუნისტებს ატუსაღებენ აგრეთვე როტტერდამში, გლაზგოში და სხვ.

კომუნიზმი საფრანგეთში.

პარიზი. გაზეთი „უმანიტე" ეხება რა კომუნისტების გასამართლებას პარიზში სწერს: საფრანგეთის მთავრობას კიდევ ახსოვს ის გაკვეთილი, რომელიც მიიღო უკანასკნელ სამ პროცესში კომუნისტების გასამართლების დროს, ამისათვის შესწყვიტა კომუნისტების გასამართლება, რადგანაც ეშინიან მათი პროპაგანდისა საქმის გარჩევის დროს სასამართლოში საფრანგეთის მთავრობამ მისცა ციხიდან განთავისუფლებულს ამხ. ზალევსკის წინადადება, რომ მას დაეტოვებია საფრანგეთის ტერიტორია დაუყონებლივ. შვეიცარიის, წარმომადგენელმა მისცა მას პასპორტი იმ პირობით, რომ ის, როგორც საშიშარი ბოლშევიკი არ გაჩერდება „თავისუფალ რესპუბლიკაში", გამგზავრებისას სადგურში შეგროვდენ აუარებელი კომუნისტები გასაცილებლად მატარებელი დაიძრა და გაისმა ერთსულოვანი ყიჟინა". გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს". ამხ. ზალევსკი მიუხედავათ შვეიცარიის წარმომადგენლის პასპორტისა, როგორც კი გადმოვიდა ჟენევის სადგურზე დაიკავეს და მოათავსეს წმინდა ანტონის ციხეში. საფრანგეთიდან წამოსვლის წინა დღით გაზეთ „ჰუმანიტეში" იყო მოთავსებული კომუნისტების წერილი საფრანგეთის მშიშარა მთავრობის მიმართ, რომელმაც ვერ გადაწყვიტა კომუნისტების სამართალში მიცემა.

12 მილიონი მარკა.

ლონდონი. 17 ივნ. (რადიო). ამანაზღაურებელმა კომისიამ გერმანიის წარმომადგენელთან ერთად გამოიმუშავა გერმანიის მიერ 12 მილიონი მარკა ოქროს ვალის გადახდის პირობები და ფორმა. კომისიამ აგრეთვე მიიღო ლითონის ფულის ტრიალის აღდგენის პროექტი. კომისიამ გაახსენა გერმანიის წარმომადგენლებს, რომ ვადა მოვიდა საფრანგეთის, იტალიისა და ბელგიისათვის 962 ათას კუბ. შეშის მიწოდებისა.

სატრანსპორტო ქვა-ნახშირის კრიზისი ამერიკაში.

ჩიკაგო. გაზეთი „ნოვოსტი დნია" უკეთებს რა ანალიზს ქვანახშირის მრეწველობისა და რკინის გზის მდგომარეობას ამერიკაში, მიდის იმ დასკვნამდის, რომ კრიზისი მოსალოდნელია. შეიძლება რომ ამერიკა ძალიან მოკლე დროში ჩავარდეს მძიმე პირობებში ქვანახშირის გამო, რადგანაც ნახშირის მარაგი უკვე აღარ არსებობს. აგრეთვე განიცდის იგი კრიზისს რკინის გზაზე გადასაზიდავ შემადგენლობისა ამერიკის სამრეწველო და პირადი მოთხოვნილებისათვის საჭიროა ყოველ თვიურად 44—50 მილიონ ტონამდის. იქ კი ნახშირის დამუშავება არ აღემატება 30 მილიონ ტონს.

ამნაირ გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება რკინის გზების მეურნეობაც. უმოქმედო საბარგო ვაგონების რიცხვმა უკვე მიაღწია 300,000 რკინის გზის ცენტრში ავსებულია დანგრეულ და უმოქმედო საბარგო ვაგონების შემადგენლობით. ომის ოთხი წლის განმავლობაში რკინის გზის მოძრაობა შემოკლებული იყო 1,300 მილით, ხოლო 1920 წელში კი—713 მილით.

მუშათა საერთაშორისო ორგანიზაცია

ბერლინი. გაზეთ „ფორვერტს" მოჰყავს ცნობა საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობისა, რომელიც ეხება 20 სახელმწიფოს 1910 წლიდან 1919 წლის უკანასკნელ რიცხვებამდის. მისივე ცნობით ევროპის ომამდის პროფესიონალურ კავშირებში მთელ ქვეყანაზე ითვლებოდა 9/12 მილიონი მუშა. 1916 წელში ეს რიცხვი გადიდდა 32,680,000 ხოლო 1919 წელს მუშათა ორგანიზაციამ მიაღწია 40,000,000 კაცს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია

1921 წ. მაისის 26-ს გამოცხადებული ამნისტიის გატარების წესის შესახებ.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ მაისის 26-ს გამოქვეყნებულ ამნისტიის სისრულეში მოსაყვანად, იუსტიციის სახალხო კომისარი წინადადებას აძლევს ქვემდებარე დაწესებულებათ მიიღონ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად შემდეგი:

1. ამნისტია ვრცელდება როგორც იმ პირებზე, რომელთაც უკვე გადაწყვეტილი აქვთ სასჯელი, აგრეთვე იმათზედაც, რომელნიც გამოძიების ქვეშ არიან.

2. ამნისტია არ ვრცელდება ისეთ დასჯილ ან პასუხისგებაში მიცემულ პირებზე, რომელთაც ბრალი ედებათ: ა) ყოველგვარ ბანდიტიზმში, ბ) ბოროტ განზრახულ სპეკულიაციაში, გ) ყოველგვარი მექრთამეობაში, დ) სახელმწიფო ქონების როგორც ხალხის კუთვნილების მითვისებაში და გაფლანგვაში, ე) კონტრრევოლიუციონურ მოქმედებაში.

3. უდიდესი სასჯელთა განაჩენები უნდა განხილულ იქნეს ერთი კვირისჭვადაში შემსუბუქების მიზნით.

4. განაჩენები იმ პირთა შესახებ, რომელთაც მისჯილი აქვთ სამუდამო დაპატიმრება, უნდა გადასინჯულ იქნენ ერთი კვირის ვადაში იმ დაწესებულებათა მიერ, რომელთაც ეს განაჩენები აქვთ გამოტანილი, რათა უვადო დაპატიმრების განაჩენი შეცვლილ იქნეს ვადიანი დაპატიმრებით.

5. ყველა იმათ, ვისაც მისჯილი აქვს დაპატიმრება ხუთ წელზე მეტის ვადით ეს უკანასკნელი უნდა შეეცვალოთ ნახევრად და აგრეთვე ჩაეთვალოთ ის დრო, რომელიც მათ საპატიმროში გაატარეს

6. ყველა იმ დასჯილებზე, რომელთაც დაპატიმრება აქვთ გადაწყვეტილი, მე-2 და მე-5 მუხ. აღნიშნულ კატეგორიების გარდა, ამნისტია უნდა გავრცელებულ იქნეს შემდეგი წესით:

ა) იმ პირებს, რომელნიც დასჯილ არიან უბრალო სპეკულიაციის გამო, სასჯელი უნდა შეუმოკლდეს 1 მესამედით, ბ) იმ პირებს რომელნიც დასჯილ არიან წინასწარ განზრახული მიზნით დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო არ არიან პროფესიონალური ავაზაკები და რეციდივისტები, სასჯელის ვადა უნდა შეუმცირდეთ 2 მესამედით; გ) სამსახურის დროს ბოროტ-განზრახვით დანაშაულის ჩადენისათვის დასჯილთ სასჯელი უნდა შეუმცირდეს ნახევრით; დ) სამსახურის დროს უანგარო დანაშაულის ჩადენისათვის დასჯილთ სასჯელი უნდა შეუმცირდეს 2 მესამედით, ე) ლოთობის გამო ხუთი წლის ვადამდე დასჯილნი მიუხედავათ იმისა, თუ რომელი დაწესებულების მიერ არის განაჩენი გამოტანილი, განთავისუფლებულ უნდა იქნენ საპატიმროდან პირობით, ხოლო რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ ლოთობისათვის დაპატიმრება ხუთ წელზე მეტი—დაპატიმრების ვადა უნდა შეუმცირდეთ 2 მესამედით იმ დროის ჩათვლით, რომელიც მათ საპატიმროში გაატარეს.

7. ყველა დასჯილნი 1921 წ. თებერვლის 25-დე ჩადენილ დანაშაულის გამო თუ მათ მისჯილი აქვთ დაპატიმრება 3 წლამდე, უნდა სრულიად განთავისუფლებულ იქმნენ; დასჯილნი 3-5 წლამდე უნდა განთავისუფლებულ იქნენ პირობით წინასწარ განთავისუფლების წესით, ხოლო დასჯილთ ხუთ წელზე უფრო მეტ ვადით სასჯელი უნდა შეუმცირდეთ ორ მესამედით და განთავისუფლებულ იქმნენ პირობით წინასწარ განთავისუფლების წესის მიხედვით.

8. დეზერტირებისა და მათი დამფარავების მიმართ ამნისტია ვრცელდება შემდეგნაირად:

ა) ვისაც დეზერტირობისათვის დახვრეტა აქვს გადაწყვეტილი, დახვრეტა 5 წლის დაპატიმრებით უნდა შეეცვალოს.

ბ) ვისაც დეზერტირობისათვის უვადო ან ხუთ წელზე მეტი ვადით დაპატიმრება აქვს გადაწყვეტილი, დაპატიმრების ვადა უნდა შეუმცირდეს 5 წლამდე, საპატიმროში გატარებული დროის ჩათვლით.

გ) ვისაც დეზერტირობისათვის მისჯილი აქვს დაპატიმრება 5 წელზე ნაკლები ვადით და აგრეთვე ვინც დასჯილია შედარებით ნაკლები სასჯელით, განთავისუფლებულ უნდა იქნენ სასჯელისაგან და გაიგზავნონ იძულებითი სამუშაოზე პატიმრობისაგან განთავისუფლებით.

დ) დეზერტირობის გამო მისჯილი ქონებრივი გადასახადი, უკეთუ განაჩენი სისრულეში არ იყო მოყვანილი ამა წლის მაისის 26-დე, არ უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი იმ პირთა მიმართ, რომელნიც ამ ჟამად უკვე წითელი ლაშქარში იმყოფებიან.

ე) ყველა ის დეზერტირები, რომელნიც ადგილობრივად ამნისტიის შესახებ დადგენილების გამოცხადების შემდეგ 11 დღის განმავლობაში თავისი ნებით გამოცხადდებიან ადგილობრივი ხელისუფლების (სამხედრო ან სამოქალაქო) განკარგულებაში სამხედრო სამსახურში ჩასარიცხად, განთავისუფლებულ უნდა იქნენ პირადი და ქონებრივი სასჯელისაგან.

ვ) ამ ამნისტიით მინიჭებული შეღავათი ვრცელდება აგრეთვე დეზერტირების მფარველებზედაც.

9. ამ ამნისტიის გატარების დროს იმ პირთა შესახებ, რომელნიც გამოძიების ქვეშ იმყოფებიან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წინა მუხლებში მიღებული წესი. იმ შემთხვევაში, თუ საქმე არ იქნა მოსპობილი საკითხი ამნისტიის გავრცელების შესახებ უნდა გამორკვეულ იქმნეს საქმის არსებითად განხილვის დროს.

10. ამნისტია იმ პირთა შესახებ, რომელნიც სასჯელს იხდიან სასამართლოს განაჩენების თანახმად სისრულეში მოჰყავთ რევოლიუციონური კომიტეტის იურიდიულ განყოფილებათ, ან ადგილობრივ რევკომებს, სადაც ასეთი განყოფილება არ არსებობს.

11. ამნისტია იმ პირთა შესახებ, რომელნიც სასჯელს იხდიან ადმინისტრატიული ორგანოების და სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალების დადგენილებათა თანახმად, სისრულეში მოჰყავთ იმავ ორგანოებს, რომელთაც სასჯელის განაჩენი აქვთ გამოტანილი.

12. საგამომძიებლო ორგანოები ვალდებული არიან ყოველ ცალკე საქმის შესახებ, რომელიც კი მათ აქვთ გადაცემული, გამოარკვიონ საკითხი საქმის მოსპობის შესაძლებლობის ანუ მისი სხვანაირი ზომით შეცვლის შესახებ და წარადგინონ თავიანთი დასკვნა სათანადო დაწესებულებებს ორი კვირის ვადაში მუხ. 10 და 11-ის თანახმად.

13. ყველა საპატიმროებმა სამი დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნონ პატიმართა სიები სათანადო დაწესებულებათ მუხ. 9 და 10 თანახმად, რომელთა განაჩენით ან დადგენილებით არიან საპყრობილეში დაპატიმრებულნი.

14. ამნისტია არ ვრცელდება ისეთ დასჯილ ან პასუხისგებაში მიცემულ პირებზე, რომელთა საქმე აღძრულია კერძო საჩივრის ნიადაგზე და რომელიც შესაძლებელია მორიგებით გათავდეს.

15. ყველა დამატებითი ახსნა-განმარტებისათვის ამ ამნისტიის გატარების დროს ქვემდებარე ორგანოებმა უნდა ტელეგრაფით მიმართონ იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

იუსტიციის სახალხო კომისარი

ს. ქავთარაძე.

1921 წ. ივნისის 20.

ქ. თბილისი.

დამტკიცებულია რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმის 1921 წ. ივნისის 22-ს დადგენილებით.

საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების კონფერენცია.

მე 4 დღ. 15 ივნისი.

ამხ. ჯუღელის მოხსენება სატარიფო პოლიტიკის და მუშათა ნივთიერი უზრუნველყოფის შესახებ.

ბურჟუაზიულ წესწყობილებაში სატარიფო პოლიტიკა სულ უბრალოა, იქაა, ორი კლასი: კლასი მუშა-მოსამსახურეთა, რომელიც ჰყიდის თავის შრომას, და ამ შრომის მყვლეფელთა კლასი ბურჟუაზიისა. მათ შორის განუწყვეტილი და შეურიგებელი ბრძოლაა. ერთი სცდილობს და მიილტვის მისი ექსპლოატაციის შეცირებისა და ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, მეორე კი საწინააღმდეგოდ მოქმედობს. ვამჩნევთ შემდეგი მომენტი სხვა სატარიფო პოლიტიკა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს. ამ დროს პირობები ისეთივე იყო, როგორიც ეს იყო ბურჟუაზიულ წყობილებაში. 1919 წლისა პირველ აგვისტოდან დაარსდა სატარიფო პალატა. ამ დრომდე არ არსებობდა რაიმე ისეთი ორგანო, რომელსაც უნდა ეწარმოებია სატარიფო პოლიტიკა, ამისთვის მუშები ამ ხნის განმავლობაში იმყოფებოდენ ისეთი მდგომარეობაში, როგორც ესაა დღეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში. მარა სატარიფო პალატის დაწესების შემდეგ მუშები უარეს პირობებში ჩავარდნენ, ვინაიდან ამ მომენტიდან მუშებისათვის ზღურბლი(?) ღლუთე ალიმართა. სატარიფო პოლიტიკას საფუძვლათ დაედო საარსებო მინიმუმი. მარა ეს ცხოვრებაში ვერ გატარდა, რასაც ნათლად მოწმობს და ამტკიცებს სტატისტიკური მასალები: [illegible] ტარიფი გადიდებულ იქნა 35 პროც. და მაშინვე ბაზარზე პირველ მოთხოვნილებების საგნებზე ფასმა 100—150 პროც. აიწია.

ხელფასის სისტემა და სატარიფო პოლიტიკის საფუძველი პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, იმ გვარათ არის აშენებული, რომ რაც შეიძლება სრულიად რამდენადაც ამის ნებას მისცემენ ობიექტიური პირობები, დააკმაყოფილოს მუშათა ნივთიერი მდგომარეობა, ხელი შეუწყოს შრომის ორგანიზაციას და უზრუნველყოს მისი მაქსიმალური ნაყოფიერება, როგორც ერთ ერთი მძლავრი ფაქტორი სახალხო მეურნეობის აღდგენისა. ეს დოვლათის განაწილებაა, დოვლათის რომელიც შექმნეს თვით მშრომელებმა. ამისათვის საჭიროა, რომ ტარიფი ემყარებოდეს კვალიფიკაციის საფუძველს, შრომის ნორმების დაწესებას და წამქეზებელ სისტემის შემოღებას, რაც ხელს უწყობს სახალხო მეურნეობაში იმ პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფენ შრომის უდიდეს ნაყოფიერებას. ავაშენებთ რა ამნაირათ ტარიფს, ჩვენ მივაღწევთ შრომის სწორი ხელფასის დამყარებას.

ამ ჟამათ როდესაც შრომა ფასდება მხოლოდ ფულით, ყველა იმ მიზნების განხორციელება, რომლებზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით, შეუძლებელია, რადგანაც ფულით ტარიფიკაცია ღირებულებას უკარგავს ფულის ნიშნებს, აძვირებს პირველ საჭიროების საგნებს თავისუფალ ბაზარზე [illegible] როგორც

მუშების ნივთიერათ უზრუნველყოფის, ისე შრომის ნაყოფიერების გადიდების საშუალებას. ამიტომ თანდათანობით უნდა შემოვიღოთ შრომის ნატურალური ხელფასი, ამასთან ეს თანდათანობა დამოკიდებულია ობიექტიურ პირობებზე, რესურსების რაოდენობის ნაკლებობაზე, რისთვისაც არ შეიძლება პირდაპირ სრულ ნატურალიზაციაზე გადასვლა. თანდათანობა უნდა გამოიხატებოდეს მხოლოდ კლასიურის და შემდეგ კი შრომის ულუფის შემოღებაში, კვების უფრო მაღალი ნორმის დაწესებით, მუშების რიგ-რიგობით მომარაგებით მხოლოდ ასეთი თანდათანობის გზით შეიძლება ნატურით დაჯილდოების ფონდის დამყარება და გადიდება და მუშათა ყოფა ცხოვრების გაუმჯობესება.

რისთვისაც საჭიროა თავისი შრომის წარმოებით დაჯილდოების შემოღება. ამის გამო კავშირების მიზანი, ადგილობრივათ ნატურით დაჯილდოვების ფაქტიურათ მიღების უზრუნველყოფისთვის საჭირო ნომერთან ერთად, მდგომარეობს იმაში, რომ ეს დაჯილდოება მართლაც გამოყენებულ იქმნეს შრომის ნაყოფიერების გასადიდებლათ და არა ულუფის უბრალო გადიდებაში და ხელფასის მომატებაში შრომის ნაყოფიერების გაუდიდებლათ. მუშათა ბიუჯეტებში დიდი როლი უნდა ითამაშოს ხელფასის ნატურალიზაციის ახრივ, მუშათა მომარაგებამ წარმოებით და საგანგებო ტანსაცმელებით, აბანოებით, ტრამვაით და სხვ. უფასოთ სარგებლობამ. ეს მოგვცემს მუშათა უზრუნველყოფის საშუალებას

მაგრამ ყოველივე ეს საჭიროა ექვემდებარებოდეს კვეთებითი პრინციპს ე. ი. სურსათის მარაგი, რომელიც კი არსებობს სახელმწიფოში, პირველ რიგში უნდა მოხმარდეს იმ დაწესებულებათა მუშების საჭიროების დაკმაყოფილებას, რომელნიც ასრულებენ დიდ მნიშვნელოვან სამუშაოს. თუმცა ფულით დაჯილდოება ფიქციას წარმოადგენს, მაგრამ მე საჭიროთ მიმაჩნია მისი არსებობაც იმ დრომდე, სანამ არ შეიქმნება საკმაო ფონდი და მაშინ შესაძლებელი იქნება ნატურით დაჯილდოვების გამოყენება ამის მთლიანი სახით

ამხ ოდილავაძის მოხსენება პროკავშირთა საორგანიზაციო საკითხებზე.

ამხანაგებო, საორგანიზაციო საკითხების განხილვის დროს, რომელთაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა მოიპოვეს, საჭიროა აღინიშნოს ის პირობები, რომელნიც წინათაც არსებობდა. დღემდე პროფესიონალური ორგანიზაციები შენდებოდენ, პროფესიის მიხედვით. საამქრო წესით.

ჩვენ კავშირთა ორგანიზაცია წარმოებითი პრინციპის მიხედვით დავიწყეთ. ეს პროფკავშირთა ცხოვრებაში ახალი მოვლენა იყო და ზოგიერთი ამხანაგები, რომელთაც საკითხის მნიშვნელობა ვერ გაიგეს, მუშაობას აფერხებდნენ.

ადგილობრივ მუშაობის განსახორციელებლად საჭიროა ყველა ქარხნებსა და ფაბრიკებში უჯრედებისა და ადგილობრივ კომიტეტების დაარსება. საჭიროა, რომ როგორც ადგილობრივი გამგეობის არჩევნების დროს, ისე საზოგადოთ მუშათა კრებაზე მონაწილეობა მიიღონ იმ კავშირის გამგეობის წევრებმა, რომელშიაც ეს მუშები შედიან. საუბედუროთ გამგეობის წევრები კრებებს არ ესწრებიან. კრებებზე საჭიროა წევრთა აუცილებელი დასწრება. შემდეგ საჭიროა რომ ქარხნის კომიტეტები ანგარიში აძლევდნენ თავის ამორჩეულთ. რასაკვირველია ამას პოლემიკა მოყვება, მას არ უნდა ვერიდოთ. კრიტიკა აუცილებლათ საჭიროა და მისი შიში არავის უნდა ჰქონდეს. მას ყველაფერი ეს უმაღლესი ორგანოებთან დაგვაკავშირებს და განამტკიცებს მას. აუცილებლად საჭიროა, რომ ყველა მიღებული ზომები მუშებს გამოეცხადოს, ამ საკითხების შესახებ მოხსენების სახით, წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზაცია ირღვევა. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

საჭიროა გაცნობილი იყვნენ მუშები იმ წარმოების საკითხში, რომელ წარმოებაშიაც მუშაობენ. ამისათვის საქარხნო კომიტეტებმა საინფორმაციო მიზნით მუშათა მასაში, უნდა თვეში ერჯერ თუ ორჯერ ანგარიში მისცენ თავის ამრჩევლებს. ამასთან ერთად საჭიროა, ქარხანათა მმართველობა ახდენდეს საინფორმაციო მოხსენებას მუშებში თვეში ერთხელ.

გამგეობის წრეები იმ საწარმოო გაერთიანებისა, რომელშიაც შედიან მუშები, უნდა დაესწრონ ასეთს მოხსენებებს.

წამოყენებულია საკითხი სალაროს ცენტრალიზაციის შესახებ. ნორმალურ საწევრო გადასახადათ მიღებულ იქმნა 2 პროც. ძირითადი ხელფასისა. ყველა დამატებითი გადახდევინება უნდა სწარმოებდეს კავშირის დაბალ უჯრედის შემწეობით. ეს უფრო მიზანშეწონილი იქნება. მსხვილ წარმოებაში გადასახადის აკრეფა მისაღებია პირდაპირ ადმინისტრაციისაგან. სად უნდა გადავიდეს ეს მოგროვილი თანხა? რაკი კავშირთა ფინანსიურ პოლიტიკას საფუძვლად დაედება სალაროს ცენტრალიზაცია, თავის თავად ცხადია, რომ ეს თანხა უნდა გადაეცეს კავშირს, ხოლო კავშირი საქ. პრ. კავშ. საბჭოს გადასცემს მთელი ამ შემოსავლიდან 10 პროც., დანარჩენი 90 პროც. რჩება კავშირის სრულ განკარგულებაში და ის ამ თანხას მოიხმარს თავის საჭიროებისათვის.

დღემდე ქალები კავშირის მუშაობიდან გარიყული იყვნენ. პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობაში ისინი არ იყვნენ ჩაბმული. ეხლა კი კითხვა სხვაფერაა და ქალები უნდა ჩავაბათ კავშირის მუშაობაში. მათაც უნდა მიიღონ მონაწილეობა სატარიფო, შრომის დაცვის, სოციალურ უზრუნველყოფის, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა მუშაობებში. იმ წარმოებაში, სადაც ქალები ძალიან ნაკლებათაა, იქ ქალები უნდა იქნას მოწვეული უჩეიკაში სამუშაოთ სათათბირო ხმით. ხოლო იქ, სადაც ქალები მრავლად არიან, იქ ისინი მოწვეულ იქნებიან ამ მუშაობისათვის საარჩევნო წესით, გადამწყვეტი ხმის უფლებით.

რევოლიუციის მიერ აქტიურ ცხოვრებაში ჩათრეული, წარმოების პროცესში მონაწილე მუშათა მოზარდი თაობა აგრეთვე უნდა იქმნას ჩაბმული კავშირის მუშაობაში, რათა აქ მისგან გამომუშავდეს სოციალიზმისათვის შეგნებული ახალი მებრძოლი. ამისათვის კი მუშა ახალგაზრდობა უნდა იყოს ნამდვილი წევრი კავშირისა.

საქართველოს პროფესიონალურ მოძრაობის შემდეგი განვითარებისა და გაფართოვების მიზნით დამტკიცებულია 22 წარმოებითი გაერთიანება, რომელთაგან 21-ს თავის ცენტრ. კომიტეტი ეყოლება ქ. თბილისში, ხოლო მეზღვაურთა ცენტრალ. კომიტეტი იქნება ბათომში.

ქრონიკა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა ცირკულიარული განკარგულება დაუგზავნა ყველა სამაზრო და ქალაქის რევკომებს და განუმარტა, რომ რევკომებს უფლება არა აქვთ ჩამოართვან ვისმე წისქვილები ნაციონალიზაციის მიზნით. რევკომებს შეუძლიათ მიიღონ წისქვილებიდან ნაწილი შემოსავლისა. რევკომების სასარგებლოდ გადასახდელ ნორმას იმუშავებს მიწად მოქმედების სახ. კომისარიატი, რაც მათ დამატებით ეცნობებათ. ხსენებულ ცირკულიარულ ცნობის გამო შინაგან საქმეთა კომისარიატში ყველა საჩივრები ადგილობრივ რევკომების მიერ წისქვილების ჩამორთმის შესახებ, უკანვე რევკომებში გაიგზავნება აღნიშნულ ცირკულიარულ განკარგულების ასასრულებლად.

◆ **ხელოვნების ნაშთების დაცვა.** განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილებამ სასწრაფოთ შეიმუშავა ზომები რესპუბლიკის ყველა მაზრის ფარგალში ხელოვნების და სიძველეთა ნაშთების დაცვის შესახებ, წესები დაეგზავნება ყველა რევკომს და ამასთან წინადადება მიეცა მათ დაეწყოთ აღწერა ეკლესიებში, მონასტრებში და სხ. არსებულ ყველა მხატვრულ განძისა. ზოგიერთ მაზრაში აღწერა უკვე დასრულდა მაგ. ბორჩალოს მაზრაში.

◆ **მუშათა დაზღვევა.** შრომის დაცვის განყოფილებამ შეიმუშავა პროექტი დებულებისა მუშა-მოსამსახურეთა ავათმყოფობის, პროფესიონალურ დაავადებისა და მშობიარობის დროს მათი დაზღვევის შესახებ.

◆ **მწერალთა კავშირში.** ივნისს 24 საღამოს 7 საათზე ხელოვანთა სასახლეში, მწერალთა კავშირში კონსტანტინე გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას: „გოეთე ნაპოლეონი, ნიცშე“. დასწრება ყველას შეუძლია.

ხელოვნება

„ყაჩაღები“—შილერისა.

სამშაბათს, 21 ივნისს, სახ. დრამის თეატრში ქართულმა დასმა დადგა შილერის ცნობილი „ყაჩაღები“.

ალ. იმედაშვილმა (კ. მორი) სრული ათვისებით განსახიერა და გაშალა კ. მორის რაობა. იმედაშვილის ტემპერამენტი, თუჯის მანერა—სიყალბის გარეშე იყო. მან, უნდა ითქვას, ამ საღამოს შეუცილებელ ნიჭით ჩაატარა თავისი როლი. პლ. კორიშელმა ფრანც მორის როლში დაძლია ჩვეულებრივობა და სისრულით გადმოგვცა მისი დახასიათება. არც ერთ მოქმედებაში კორიშელი არ ყოფილა დაშორებული თავის როლს. განსაკუთრებით კარგი იყო უკანასკნელ მოქმედებაში, როცა საწოლ ოთახიდან შიშველი ხმალით და ანთებულ სანთლით შემოვარდება სინიდისის მხილებით ძალ-გატეხილი.

ვერიკო ანჯაფარიძე (ამალია) როგორც ყოველთვის საინტერესო იყო.

ვ. გუნია (პასტორი) და ვ. გამყრელიძე (მოხუცი მორი) ღირსეულათ იცავდენ თავიანთ სახელს. შ. გომელაური უფრო დამაკმაყოფილებელი გვინახავს ამ როლში. შიაურელი კარგი იყო უკანასკნელ მოქმედებაში. ფრანგიშვილი რამდენიმე წამორძიკების გარდა საშუალო. ფრონისპირელმა—აუცილებლათ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს გამოთქმის სიმკვეთრეს. ენა ბრგვილობა მსახიობისათვის საბედისწეროა. საერთოდ ქართველი მსახიობი არასოდეს არ დგას ამ ნაკლის გარეშე, მაგრამ ფრონისპირელს ყველაზე უფრო ემჩნევა ეს.

დადგმის მხრივ შეიძლება ითქვას რეჟისორის სასარგებლოთ ერთი შენიშვნით: გადაჭარბებული იყო ლუდხანაში მოსამსახურე ბიჭების თავისუფალი ქცევა. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს სტატისტების ჩაცმას და გრიმს: ერთ ყაჩაღთაგანს ისეთი გრიმი და გამომეტყველება ჰქონდა, რომელიც მხოლოდ მეწვრილმანე სახე გაშლილ ჩარჩს ახასიათებს. საერთოდ წარმოდგენა აღსანიშნავად ჩატარდა. თეატრი უფრო სავსე იყო გაშლილი ხალხით, რომელსაც ხშირად დისონანსი შეჰქონდა სცენისა და პარტერის შეერთების დროს. წარმოდგენა დაიწყო 9 საათზე და დასრულდა ღამის სრულ 12 საათზე.

ცენტრალურ პარტიულ შკოლის საზეიმო გახსნა.

კვირას, 19 ივნისს, „წმინდა ნინოს“ სახელობის მეშვიდე ქალთა გიმნაზიაში, ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ-სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების ინიციატივით და ხელმძღვანელობით გაიხსნა პირველი პარტიული შკოლა.

შკოლის გახსნას დაესწრენ ყველა პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენლები. დარბაზს ამშვენებდენ, სიცოცხლეს აძლევდენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან წარმოგზავნილი, გლეხებისგან და მუშებისგან შემდგარი ხსენებული პარტიული შკოლის მოწაფეები, რომელთა რიცხვი აღემატებოდა ჯერჯერობით 100 ს.

საზეიმო სხდომა გახსნა პარტიული შკოლის გამგემ ამხ. ისიდორე თალაკვაძემ, რომელმაც მოკლე სიტყვით გააცნო დამსწრეთ პარტიული შკოლის დაარსების დანიშნულება და მისი დიადი მიზანი მშრომელი გლეხკაცობის და მუშების განვითარება - გათვითცნობიერების საქმეში.

განათლების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. მარიამ ორახელაშვილის წინადადებისამებრ სხდომის საპატიო თავმჯდომარეებათ იქმნა არჩეული როგორც ძველი პარტიული შკოლის მასწავლებელი საშინელ რეაქციის ხანებში, ამხ. ფ. მახარაძე, რაჟდენ კალაძე, მიხა ჩოდრიშვილი და ჩვენი მოხუცი მასწავლებელი მიხა ცხაკაია, რომელიც ეხლა მოსკოვში იმყოფება, როგორც წარმომადგენელი საბჭოთა საქართველოსი, და წევრნი მე-3-მე კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტისა.

წინადადებას ოვაციებით შეხვდა კრება; აქ პარტშკოლის მოწაფეთა გამოყოფილ გუნდის-მიერ შესრულებული იქმნა მსოფლიო პროლეტარული ჰიმნი-ინტერნაციონალი.

მოსასალმებელი ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა აქ ამხ. ფილიპე მახარაძემ, რომელმაც განსაკუთრებით ხაზი გაუსვა პარტშკოლის დანიშნულებას ახლად აღორძინებულ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საამშენებლო პრაქტიკულ საქმეში.

შემდეგ წარმოსთქვეს სიტყვები: რევკომის და ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის სახელით—ამხ. მამია ორახელაშვილმა, საბჭოთა რუსეთის სახელით—ამხ. კიროვმა, თფილ. კომიტეტის სახელით—ამხ. ლ. ღოღობერიძემ, განათლების სახალხო კომისარიატის და მასთან არსებულ პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობის სახელით—ამხ. მამულაშვილმა, პარტშკოლის მოწაფემ (კურსანტი), რუსეთის წითელი არმიის წარმომადგენელმა, და ამხ. გ. მახარაძემ. ყველა ამათ ხაზი გაუსვეს ხსენებულ შკოლის სიდიადეს წამოყენებულ ყველა პარტიულ ამოცანების გაგება—გადაჭრის საქმეში, მისი საშუალებით მშრომელი მასის ტვინების კომუნიზმით გაჟღენთაში.

დასასრულ მოკლე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ის. თალაკვაძემ და საზეიმო სხდომა გამოაცხადა დახურულად.

ხევახტი.

მუშის წერილი.

შრომის ბეგარა.

თვითმპყრობელობას ჰყავდა თავისი განსაზღვრული ჯგუფი მოხელეებისა. უმაღლეს საფეხურზე იდგნენ მემამულე თავად-აზნაურობის წრიდან გამოსული პირები; დაბალ საფეხურზე მდგომთ კი ან ცხოვრების სიძნელე აიძულებდა თვითმპყრობელობის სამსახურს, ანა და თვით სახელმწიფო ძალდატანებით იმსახურებდა,—მაგალითათ, ჯარს.

ამ მოხელეთა ჯგუფი უმაღლესიდან დაწყებული უმდაბლესამდე თავისთავათ არავითარ ღირებულებას არ ქმნიდა, არამედ მძიმე ტვირთათ აწვა სარჩოთ კისერზე მშრომელს, ღირებულების შემქნელ ხალხს.

მეორე მხრით ვაჭრები და მათ გარშემო მოტრიალე წრეც არავითარ ღირებულებას არ ქმნიდა, არამედ უკვე შექმნილის დანაწილებას კისრულობდა, რომლის საგრძნობ ნაწილს თვით იკერებდა მოგების სახით.

ესენიც, რა თქმა უნდა, იმავე ღირებულების შემქნელ მშრომელი ხალხის ზედმეტი სარჩო ხორცმეტი იყვნენ.

სასულიერო წოდებაზე ლაპარაკი ხომ მეტია,—მათ იმთავითვე დასჩემდათ ხალხის ოფლით კვება.

საერთაშორისო ომმა მოსწყვიტა აუარებელი ხალხი ნაყოფიერ შრომას, ღირებულების შექმნას და გადააქცია ისინი მის გამანადგურებლათ, შთამთქმელათ.

რევოლიუციამ მდგომარეობა ვერ შესცვალა ამ მხრით.

თვითმპყრობელობის აუარებელი მოხელეები, აღზრდილნი უსაქმობაში, ერთბაშათ ვერ გახდებოდენ შრომის მოყვარულნი. ისინი მოსწყდნენ თავიანთ მითვისებულ საბუდარს, მაგრამ სახელმწიფოს ორგანიზმში მაინც გამოუსადეგარ მუქთახორათ დარჩნენ. მათი ადგილი დაიჭირეს სხვებმა, რომლებიც თუმცა არც წინეთ წარმოადგენდენ რაიმე ღირებულების შემქნელ ძალას, მაგრამ ცოტათ თუ ბევრათ ასრულებდნენ შემოქმედებითი დანიშნულებას.

ვაჭრებისა და მათ გარშემო მოტრიალე ელემენტების ჯგუფი თუ გაიზარდა, თორემ არ შემცირებულა.

ომისგან დაბრუნებული დიდი ნაწილიც ვერ ჩადგა თავის პირვანდელ კალაპოტში. ხანგრძლივმა ომმა ის საკმაოდ გარყვნა და გამოაცალა შრომის შემოქმედებითი უნარი.

პროლეტარულმა რევოლიუციამ თუმცა ძირიან-ფესვიანად შესცვალა მდგომარეობა, მაგრამ ღირებულების შემქმნელთა წრე ვერც მან გაადიდა; პირიქით, კიდევ მეტათ შემცირა. პროლეტარიატისა და გლეხკაცობის საუკეთესო ენერგიული ნაწილი მართვა-გამგეობას ჩაუდგა სათავეში, რითაც ფრიად შესუსტდა წარმოება და მეურნეობა.

ხანმოკლე წასული მთავრობის ახლათ ამოცენებული მოხელეები, ვინც თავიანთ ადგილას არ, ან ვერ ჩარჩნენ, მხოლოთ მიემატენ ზემოხსენებულ მუქთახორებს, ვინაიდან მდგომარეობა სცვლის ადამიანს, და მათმა, თუმცა მოკლე ხნის, მდგომარეობამ ისინი იმდენათ გამოსცვალა, რომ, როგორც თვითმპყრობელობის მოხელეები,—ესენიც ვერ შეიქმნებიან შრომის მოყვარენი.

ამნაირათ ცხადზე უცხადესია, ერთი მხრით, ღირებულების შემქნელთა რიცხვის საგრძნობლათ შემცირება, მეორე მხრით, მუქთახორების უზომოთ გამრავლება. რა თქმა უნდა, ამ გარემოებას უნდა მოყოლოდა ის შედეგი, რომლის მოწამეც ვართ დღეს: საშინელი სიძვირე, საქონლის სიმცირე, მოთხოვნილების სიმრავლე, სპეკულიაცია და სხვა ათასგვარი ცხოვრების სიდუხჭირე. იმ დროს, როდესაც ღირებულების შემქნელი მშრომელი სანთლით საძებარი გამხდარა,—ათი-ათასობით დახეტიალობენ სრულიად ჯანსაღი ადამიანები და გარდა ნაყოფიერი შრომისა, ყოველ ზომებს ხმარობენ რომ თავი ირჩინონ.

უბრალო თავის გაკრეჭა სადალაქოში, გაცვეთილი ფეხსაცმელის შეკეთება მეწაღესთან, ან ძველი სამოსლის დაკერება თერძთან მიუწვდომელ რამეთ გამხდარა,—აბა ახალის შეკერვა ხომ საზღაპრო მოვლენათ არის გადაქცეული და მხოლოდ მარტო ვიწრო ჯგუფს თუ აქვს ამის საშუალება.

თავისუფალი წვრილი ვაჭრობის დაშვება უკუღმართად იქნა გაგებული და გამოყენებული. წვრილმა ვაჭრობამ ჩაითრია თავის წრეში ყველა და ყოველი. ბაზრები, ქუჩები, მოედნები, რკინისა და შარა გზები ავსებულია „წვრილი მოვაჭრეებით“, ანუ სპეკულიანტებით. თვით იმ პატარა მაღაზიებშიდაც კი, სადაც სულ რაღაც ათი თავი საქონელი აწყვია,—ხუთი და ათი ადამიანი დაატრიალებს თავს და ყველა მათგანი თავისებურათ უმატებს ფასს.

არავითარი მომაწესრიგებელი ზომები არ არსებობს მათთვის.

მეორე მხრით კი სახელმწიფოს აუარებელი სამუშაო აქვს. მრავალი სახნავ-სათესი, სათიბი, ტყე, მადნეულობა, შარა გზა, სარწყავი არხები, ფაბრიკა-ქარხნები და სახელოსნოები განიცდიან მუშა ხელის ნაკლს. ახალი ღირებულება მეტად მცირე მზადდება, შექმნილს კი ათასობით ეხვევიან თავს ყვავ-ყორნისავით სხვადასხვა წურბელა-სპეკულიანტები, რომლებიც არავითარ ღირსებას ან ხარისხს არ მატებენ მას, არამედ მარტო ფასს ზრდიან უზომოდ.

ასეთი მდგომარეობის გახანგრძლივება ყოვლად შეუწყნარებელია მშრომელ-სახელმწიფოს მიერ. ყველა ამ მოხეტიალე მუქთა ხორებს სახელმწიფო ორგანომ მაგრათ უნდა მოჰკიდოს ხელი და შრომის უღელში გააბას.

როდესაც მათ ხელში იყო ძალა უფლება—მუშები ათ თორმეტ და მეტ საათებს მუშაობდენ დღეში. მშრომელთა სახელმწიფო კი ლმობიერია და ექვსი, რვა საათის შრომასაც დასჯერდება.

მხოლოდ დაუყონებლივ ბოლო უნდა მოეღოს მათ სრულიად უსაქმოთ წოწიალს და მშრომელი ხალხის მიერ ოფლით მონაგარის მითვისებას.

სახელმწიფომ საჩქაროთ უნდა შექნას ისეთი ორგანო, რომელიც შეძლებს ამ მუქთა ხორების თავის მოყრას და სამუშაოზე დანაწილებას.

საქმე ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, მხოლოდ გამკეთებელია მცირე. დროა ბოლო მოეღოს ამ არანორმალურ მდგომარეობას და ის ლოზუნგი, რომელიც არის წამოყენებული მშრომელთა სახელმწიფოთაგან:—„ვინც არ შრომობს—ნურც სჭამს“! სისრულეში იქნეს მოყვანილი თუნდა უსასტიკესი ზომების მიღებით.

ხალხი, მშრომელი ხალხი სულით და გულით ჩვენს მხარეზე იქნება და გაგვიწევს დახმარებას მუქთა ხორების შრომაში ჩაბმის საქმეში.

ს. თ—ძე.

აუმორებული [illegible]

წინასწარ ბოდიშს ვიხდი მკითხველ საზოგადოების წინაშე, რომ ერთხელ კიდევ იძულებული ვარ შევაჩერო მისი ყურადღება „სოც. ფედ.“ № 82 დაბეჭდილ გ. სვანიძის მოპირდაპირისადმი ფიზიოლოგიური სიძულვილით, საზიზღარი სიძულვილით, საზიზღარი ჭორებით და უხეშ დემაგოგიურ გამოსვლებით სავსე წერილზე, მით უმეტეს რომ მოწინააღმდეგეთაგან ატეხილ ჩემდამი ლანძღვა-გინებას და უმართებულო განგაშის მიზეზს,—ჩვენი სოც. ფედერალისტთა პარტიიდან გამოსვლას, ქონდა ერთგვარი მნიშვნელობა სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა პარტიულ ცხოვრებაში.

თებერვლის გადატრიალების შემდეგ, როდესაც სტუდენტურ აკადემიურ ცხოვრებაში პირველ ადგილზე პოლიტიკური მომენტი წამოიჭრა, ჩვენ ყოველთვის გამოვდიოდით „მემარცხენე ფედერატისტების“ პლატფორმით, პარტიის უმრავლესობის ოპორტიუნიზმის წინააღმდეგ და ვაღიარებდით საბჭოთა სისტემას პროლეტარიატის დიქტატურით, სოც.-ფედერალისტთა მთავარი კომიტეტის, დროებით მთავარ კომიტეტის და თბილისის ორგანიზაციების შეერთებულ ერთ-ერთ სხდომაზე ჩვენმა ერთმა ამხანაგთაგანმა გარკვევით განაცხადა, რომ რევოლიუციისა და მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვისათვის პარტიამ უნდა დაგმოს ძველი ორჭოფული გზა და გაბედულათ დადგეს კომუნისტებთან სრულ თანამშრომლობის ნიადაგზე. ამავე პოზიციას ვიცავდით ყველა იმ პარტიულ თუ საზოგადო კრებებზე, სადაც ჩვენ გვიხდებოდა გამოსვლა და შესაფერისი რეზოლიუციების გამოტანაც. ამას მიუმატეთ თებერვლის გადატრიალებამდი ჩვენი კერძო მსჯელობაში გარკვეული ხაზი სოც. რევოლიუციის აღიარებისა, რაც მე წინა წერილშიც აღვნიშნე და ყველასათვის ცხადი იქნება ბ. სვანიძის დორბლ-მორეული წერილების მიზეზი. ბ. სვანიძე და კამპანია კარგათ ხედავდა, რომ დაყრდნობილთა თავშესაფარად გადაქცეულ პარტიაში აშკარად იწყებოდა ძლიერი რღვევის პროცესი და აქამდი მშვიდ ცხოვრების მოყვარული მრავალ ფერიანი სასულიერო სამწყსოში გაისმა უკვე გარკვეული პროტესტის ხმა უდისციპლინო ძველი გზის დაგმობისათვის. ეს იყო უტყუარი ნიშანი იმისი, რომ ულმობელმა ისტორიულმა მსვლელობამ დაუყენა მათ ყოფნა არ ყოფნის საკითხი და აუცილებელი შეიქმნა ერთხელ და საბოლოოდ მომხდარიყო პარტიის გაცხრილვა იმ ხორცმეტა ელემენტებისაგან, რომლებიც მხოლოდ ხელს უშლიდენ მის ნორმალურ განვითარებას. ეს ხდებოდა არა თუ მარტო სტუდ. ორგანიზაციაში, არამედ მთელ პარტიაშიც და აი, მათ პირველათ შეშფოთდნენ, დასალუპათ გამზადებულ გემის ვირთხებივით, კედლებს აქეთ-იქით მიეხეთქნენ და შემდეგ ცოტა გონს მოსული, ქურდულათ სვამენ საკითხს ახალგაზ. სოც.-ფედერ. ბიუროში ჩვენი სტუდ. პარტიულ ორგანიზაციიდან გარიცხვის შესახებ. როგორც წინა წერილშიც აღვნიშნე, მათი ეს ნაბიჯი იყო არა თუ მარტო უაღრესად პოლიტიკური უპატიოსნება, არამედ უპრინციპოც, ვინაიდან პარტიულ დისციპლინის თვალსაზრისით ისინი უნდა შეკითხოდნენ მთავარ კომიტეტს და მეორე მხრივ პარტიულ ეთიკის თანახმად ეცნობებიათ საზოგადო კრებაზე მაინც ჩვენთვის—მთელი სტუდენტების წინაშე პასუხისმგებელ წინასწარ ამხანაგებისათვის. ეს თქვენ შეგნებულათ, წინასწარ განსაზღვრულ მიზნით არ ქენით. აი ამ გარემოებას მე ხაზი გაუსვი წინა წერილში და გარკვეულად ვუწოდე მას სრული პარტიული უდისციპლინობა. რასაკვირველია ეს არ ნიშნავდა თქვენი პარტიის საღად მოაზროვნე ნაწილის „შეურაცყოფას“ ან ჩემი ხაზეინების ერთგულების დამტკიცებას. იცის ყველამ, თუ რომელ პარტიას სჩვევია „ლაქიობა ხაზეინობა“, მეშჩანური ცხოვრება, თბილი ადგილები, უმოქმედობა, პოლიტიკური დაქსაქსვა და საერთო უნიადაგობა, განა ჩემი მტკიცება ეჭვგარეშე იმას, რომ მშრომელი ხალხის ნების ყოფის გამომხატველი კომუნისტური პარტია და მათი წევრები დაწყებული უდიდესი საერთაშორისო პროლეტარიატის ლიდერ ლენინიდან, გათავებული უბრალო პარტიულ წევრით ან ყველა ლატაკით, დიადი მომავლის დამყარებისათვის ბრძოლაში თანასწორ უფლებიანი ამხანაგებია და არა „ხაზეინ ნოქარი“?! სწორეთ თქვენი პარტიის ეს დამახასიათებელი თვისებები იყო მიზეზი იმისა, რომ სოციალისტურათ მოაზროვნე აწ უკვე თქვენივე ყოფილი ამხანაგების დიდი ნაწილი, რომლების საუკეთესო წარმომადგენლებს სტუდ. პარტიულ ერთ-ერთ კრებაზე ზიზღს უცხადებდით, მე 6 კონფერენციაზე აშკარა განხეთქილების გზას დაადგა და ამით მეტად დააჩქარა პარტიულ ცოცხალი ლეშების აუცილებელი სიკვდილი.

ასეთი შეიქმნა მდგომარეობა და მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ სრული შეძლება გვქონდა დავრჩენილიყავით პარტიაში, ვარჩიეთ სამუდამოთ გაგვეწყვიტა კავშირი შოვინიზმისა და ოპორტუნიზმთან. ეს შედეგი იყო არა პრაქტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კული მოსაზრების, როგორც თქვენ ბრძანებთ ბ. სვანიძე, არამედ ჭეშმარიტი შეგნების სიმბოლოდ ჩამოყალიბების, თუმცა ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ კომუნისტურ პარტიაში მუშაობა იქნებოდა არა თბილ კაბინეტებსა და სავაჭროებში ჯდომა, როგორც ეს თქვენ გჩვევიათ, არამედ მშრომელ ხალხთან ხელი ხელს ჩაკიდებული მძიმე ჭაპანის წევა ბრწყინვალე მომავლისათვის.

(რაც შეეხება „თქვენ კერძო აზრს ჩემს სტუდ. სასადილოში ერთი თვის მოღვაწეობაზე“ მე ვუცდი სარევიზიო კომისიის შეფასებას, მიუხედავად იმისა რომ იქ თქვენც ბრძანდებით).

ყველა ამის მერე განა გასაგები არ არის ბ. სვანიძის ფიზიოლოგიური სიძულვილით კბილთა ღრჭენა და დემაგოგიური განგაში პოლიტიკური მოწინააღმდეგის ლაფში ამოსასვრელად?!

განა რომელიმე პოლიტიკურად პატიოსანი ადამიანი მიმართავს ასეთ უშვერ სიტყვებს, როგორც არიან „უსინდისო“, „სალახანები“ და სხვ. თუ არა ბ. სვანიძეებისთანა გონებრივ ავლა დიდების „სოციალისტები“, რომლებიც მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლაში გამობრძმედილ და თავდადებულ ერთ-ერთ სოციალისტს, როგორც მან სთქვა ერთხელ რამოდენიმე ამხანაგთან თანდასწრებით, სიამოვნებით ჩასცემდა გულში ხანჯალს?! განა შეიძლება იყოს ამ სიტყვების მთქმელი სოციალისტი?! არასოდეს.

რა გასაკვირველია ბ. სვანიძის ქუჩური ლანძღვა-გინება?! როცა მზე ხარბათ აცხუნებს ამოსაშრობათ გამზადებული აშმორებული ჭაობიც ერთხელ კიდევ მიმოაბნევს მყრალ სუნს ამწვანებულ ნაპირებზე.

ანტონ ახათიანი.

პარტიული ცხოვრება

ქ. ოზურგეთი. (გურია)

1921 წ. 23 მაისს, ქ. ოზურგეთში შესდგა გურიის კომიტეტის კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. თ. დოლიძე, მდივნათ ვ. კალანდაძე.

დღის წეს რიგში შედიოდა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება პრეზიდიუმის, 2) მოხსენება სამაზრო რევკომისა, 3) მოხსენება სახალხო სამეურნ. საბჭოსი, 4) გურიის რაიონებათ დაყოფა და 5) გურ. კომ. პასუხისმგებელი მდივნის არჩევა.

გურიის კომიტეტის პრეზიდიუმიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. გ მგალობლიშვილი, რომელიც აღნიშნავს შემდეგს: წინანდელმა კომიტეტის კრებამ შეიმუშავა პარტიული მუშაობის გეგმა, რომლის განხორციელებას შეუდგა პრეზიდიუმი. ზოგიერთ ადგილებში უკვე აღვადგინეთ ძველი ორგანიზაციები; დავიწყეთ პერერეგისტრაცია, რათა პარტია გაწმენდილიყო არა სასურველ ელემენტებისაგან, რისთვისაც ავირჩიეთ საპერერეგისტრაციო კომისია სამი კაცისაგან შემდგარი. გურია დაიყო სამ რაიონათ, ლანჩხუთის ოზურგეთის, ჩოხატაურის. თვითეულ რაიონში გაიგზავნა თითო კომისიის წევრი. ორი რაიონი უკვე მოთავებულია. მესამე რაიონში კი სულ მოკლე ხანში მოთავდება. ეწყობოდა მიტინგები და რაიონული კრებები, სადაც იგზავნებოდა მოწინავე ამხანაგები, რომლებიც აკეთებდენ მოხსენებას დღევანდელ მდგომარეობაზე, პარტიულ მუშაობაზე და საბჭოთა აღმშენებლობაზე. ერთი სიტყვით პარტიული მოშაობა იყო იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იყო დღევანდელ პირობებში.

სამაზრო რევკომიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ან. დოლიძე, რომელიც აღნუსხავს რევკომის მუშაობას. კრებამ მოისმინა ამხანაგის მოხსენება და გადავიდა შემდეგ კითხვაზე.

სახალხო სამეურნეო საბჭოდან მოხსენებას აკეთებენ ამხ. თ. ჩიჩუა და ერ. ჩიგოგიძე, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ამ დაწესებულებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამასთან წაკითხულ იქნა ცენტრალურ სასურსათო განყოფილების დეპეშა წითელ არმიისათვის საჩუქრების გაგზავნის შესახებ, რის შემდეგაც არჩეულ იქნა სამი კაცისაგან შემდგარი კომისია ამ საქმის მოსაგვარებლად.

ათი ხმით ორის წინააღმდეგ გადაწყდა გურიის დაყოფა 7—8 მსხვილ რაიონებათ, სადაც უნდა მოეწყოს მჭიდრო ორგანიზაცია.

5) გურიის კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ვარ. კალანდაძე, პრეზიდიუმის წევრათ ამხ. კ. გურგენაძე.

ყარაჩოლელი.

ს. მარტვილი.

მარტვილში კომუნისტურ მუშაობას ორგანიზაციული საძირკველი ჩაყრილი ქონდა 1917 წლიდან. როგორც ყველამ იცის 1917 წლის ბრძოლას მშრომელი ხალხის მიერ ეკონომიური და პოლიტიკური ურთი-ერთობის მოწესრიგებისათვის საქართველოში მენშევიკების ჯალათობამ ბოლო მოუღო დაქირავებული გვარდიით. ამის შემდეგ მენშევიკების შურისძიებას მშრომელთა დამცველებისადმი არ ქონდა საზღვარი. მარტვილში მკაცრმა რეპრესიებმა ძალიანათ შეარყია ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა. თებერვლის გადატრიალებამ ბოლო მოუღო მენშევიკების თარეშს და საქართველოში გამტკიცდა საბჭოთა ძალა უფლება, რამაც საშუალება მოგვცა ჩვენი ძალების დარაზმვის. თებერვლის გადატრიალების შემდეგ მარტვილში ორგანიზაციული მუშაობა ხელ-ახლა დადგენილ იქნა 1921 წ. 8 მაისს მოხდა მარტვილის რაიონული კონფერენცია, რომელზედაც იქნა გარჩეული იაჩეიკებში დაბადებული საკითხები და ამოარჩეულ იქმნა რაიონული პარტიული კომიტეტის შემადგენლობა. მარტვილის სოფლის იაჩეიკაში პარტიული მეცადინეობა წარმოებს სისტემატიურად.

მარტვილის კ. იაჩეიკას ხელმძღვანელი ფილიპე მამარდაშვილი.

კურსანტების საერთო კრება.

1921 წელს 5 ივნისს შესდგა ც-კასთან არსებულ კურსანტების საერთო კრება, 53 ამხანაგისაგან შემდგარი.

კრებას დაესწრენ შკოლის გამგე ამხ. თალაკვაძე და ლექტორი ამხ. მდინარაძე

თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული ამხ. სერგო ბოჭორიშვილი.

მდივნათ ამხ. ტერენტი შარიქაძე.

დღის წესრიგში იყო ხუთი საკითხი:

1. შაბათობის მოწყობა და სახედრო ვარჯიშობა.
2. კულტურულ-განმანათლებელ სექციის არჩევა.
3. მეცადინეობის დაწყების შესახებ.
4. ამხ. თალაკვაძის მოხსენება.
5. პარტიული დისციპლინა.

პირველი საკითხის შესახებ ილაპარაკეს ამხ. ხუცურმა და ხარაბაძემ, აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია: —ვეალებათ ყველა ამხანაგებს კურსანტებს, უკლებლივ თბილისის ამხანაგებთან, გვერდში ამოდგომით მიიღონ მონაწილეობა შაბათობაში. სამხედრო ვარჯიშობაც ერთ ხმად იქნა მიღებული. კვირაში ერთხელ მეცადინეობდეს ყველა ამხანაგები ყოველ კვირა დღეს ამხ. რევაზოვის ხელმძღვანელობით. მეორე საკითხის შესახებ ილაპარაკეს ამხ. ბოხუამ და თაბაგარმა, რის შემდეგ კრებამ საჭიროდ სცნო იქნეს არჩეული კულტ-განმან. სექცია სამი პირისაგან. კენჭის ყრით და უმრავლესობით კულტ-განმან. სექციაში იქმნენ არჩეული ამხ. ბოხუა, ბერძენიშვილი და კალანდაძე. მესამე საკითხის შესახებ ილაპარაკა ამხ. მდინარაძემ, და მოკლედ გააცნო კრებას მეცადინეობის შეფერხების მიზეზი. შემდეგ აკეთებს მოხსენებას ამხ. თალაკვაძე, რომელმაც ვრცლათ გააცნო ამხანაგები—შკოლის დანიშნულებას, და მოკლეთ განუმარტა—გასავლელ პროგრამის თითო მუხლი, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგებს შორის. უკანასკნელ მეხუთე საკითხის შესახებ ილაპარაკეს ამხ. რევაზოვმა და მარკოვმა, რის შემდეგ კრებამ ერთხმად გადასწყვიტა: დაევალოს კურსანტებ შორის არსებულ დროებით კომიტეტს ამ საკითხის შესახებ საქმის მოგვარება. კრება გაგრძელდა ხუთი საათი, და ინტერნაციონალის სიმღერით ამხანაგები დაიშალენ.

კრების თავმჯდომარე სერგო ბოჭორიშვილი.

მდივანი ტერენტი შარიქაძე.

პროფესიონალურ კავშირებში.

მეთამბაქოეთა კავშირში.

ივნისის 12 ის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. მანველოვის მოხსენება ქალაქ ქუთაისის მეთამბაქოეთა კავშირის შესახებ. დაასურათა რა მომხსენებელმა თამბაქოს ფაბრიკების და პროფესიონალურ კავშირის მდგომარეობა, აუცილებლად სცნო თბილისის ამხანაგებთან მჭიდრო კავშირის დამყარება. გამგეობამ მიიღო მხედველობაში მოხსენება და დაადგინა: გაუგზავნოს სალამი ქუთაისის ამხანაგებს. ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. კიზნევსკის მოხსენება პოლიტკომის გაუქმების და მათ მაგიერ კონტროლიორების და თამბრკომების დანიშვნის შესახებ, რომელიც უნდა შესდგებოდეს ინსპექციის პროფკავშირების საბჭოს საორგანიზაციო ნაწილის და ეკონომიურ განყოფილებისაგან. დიდი ხნის კამათის შემდეგ გამგეობამ გამოიტანა შემდეგი დასკვნა, რადგანაც მეთამბაქოების კავშირი ჯერ ისევ მოწყობის ხანაში იმყოფება და რადგანაც მუშათა შორის პოლიტიკური მუშაობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, პოლიტკომების ინსტიტუტის მოსპობა ნაადრევათ უნდა ჩაითვალოს.

ხის დამუშავებელთა კავშირი

ივნისის 15 გამგეობის სხდომაზე იხილავენ მოხსენებას ხე ტყის—სახერხავ ქარხნის ნაციონალიზაციის შესახებ. მოხსენებიდან ჩანს, რომ ყველა ქარხნები ოთხის გამონაკლისით არ იყვნენ გაეროვნებული, მხოლოდ იყვნენ აღრიცხული. ყველა კერძო ქარხნებმა მასალის უქონლობის გამო შესწყვიტეს თავისი მოქმედობა. გამგეობამ ამის შესახებ დაადგინა: წვრილი წარმოებანი, რომლებიც არ დაიწყებენ მუშაობას განსაზოგადოებრივებული იქნებიან. ამასთანავე მათი ინვერტარი შეკეთებულ უნდა იქნეს ერთ ქარხანაში სახელმწიფო საზოგადო ქარხნის მოსაწყობათ და იმ ქარხნებს კი, რომლებსაც ამუშავებდენ მეპატრონენი ყოველ მხრივ უნდა დავეხმაროთ. მისივე მიხედვით ბრიკის სახარატო ფაბრიკის განსაზოგადოებრივობის შესახებ დაადგინეს: მოახდინონ ფაბრიკის განსაზოგადოებრივობა. საკითხის საბოლოვოდ გადასაწყვეტად მოწვეულ იქნება თათბირი ე. ს. ს. ს კოლეგიის, საქართველოს ტყის კომიტეტის და პროფკავშირების საბჭოს ეკონომიურ განყოფილებისა.

ქიმიკოსთა კავშირში.

დაიწყო წევრთა ახალი რეგისტრაცია, კავშირის ყველა წევრებმა რომელთაც არა ჰყავთ საქარხნო კომიტეტები უნდა ჩაეწერონ პირადათ ქიმიკოსთა კავშირში მუშათა სასახლეში, ოთახი № 25.

მშენებელ მუშათა კავშირში.

აპრილის 15-დან ივნისის 10 მდე საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილების მიერ მოწვეულ იყო 24 საზოგადო ადგილობრივი კრება და ორი კონფერენცია. ამ კრებებზე და კონფერენციებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: საორგანიზაციო, პროფესიონალური მოძრაობის, საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკის, პროფკავშირები წარმოებაში მონაწილეობისა და როლის შესახებ. ამას გარდა ამავე კრებებზე მოხდა რაი-კომების და საქარხნო კომიტეტების ახალი არჩევნები. ამ ჟამად კავშირში არის ორი სარაიონო კომიტეტი ავლაბრის და ჩუღურეთის. რაც შეეხება მესამეს, ვერის რაიონი გაუქმებულია ვინაიდან მისი მუშაობა დამთავრდა და მთელი ვერის რაიონი შეკავშირებულია გამგეობასთან.

წარმოებითი პროფკავშირები თბილისში.

მიწა-ტყის მუშაკთა პროფკავშირში მიწა ტყის კავშირის მთავარი გამგეობის პრეზიდიუმმა 12 მაისის სხდომაზე დაადგინა:

— დაევალოს საინსტრუქტორო საორგანიზაციო განყოფილებას მოაწყოს მოხსენებები და ლექციები მუშა მოსამსახურეთა ფართო მასებისათვის პროფესიონალური მოძრაობის პრინციპების გასაცნობათ.

— დაევალოს კავშირის განყოფილებათა გამგეებს დრო-გამოშვებით დაიარონ ადგილ-კომები, როგორც მთავარი გამგეობის მუშაობის გასაცნობათ აგრეთვე თვით ადგილ—კომების მუშაობის გასათვალისწინებლათ და სახელმძღვანელოთ.

— კავშირის მდივნის მოხსენება პროფკავშირების მდივნების თათბირის მუშაობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობათ.

— მიენდოს საორგანიზაციო განყოფილების გამგეს გამოარკვიოს რომელ კავშირში უნდა შედიოდეს შინამრეწველობის კომიტეტის მუშა-მოსამსახურენი.

— ამხ. ანდრონიკაშვილს მიენდოს გამოარკვიოს რამდენათ დასაშვებია, რომ სახელმწიფო ხასიათის მამულები გადაეცეს საექსპლოატაციოთ კერძო პირებს, საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ორგანოებს გარეშე მიწათ მოქმედების კომისარიატისა.

საწარმოვო პრინციპის მიხედვით სახელმწ. აღმშენებლობის კომიტეტის მიწის მზომლები უნდა მიწერილი იქნენ სხვა საწარმოო კავშირზე (აღმშენებელთა კავშირზე), ამიტომ მათი შუამდგომლობა მიწა ტყის კავშირში მიღების შესახებ ვერ იქნება დაკმაყოფილებული.

— თბ. პოლიტექნ. ინსტიტუტის სტუდენტი-აგრონომი ქალი თამარ ქარსელაშვილი, თანახმად საორგანიზაციო განყოფილების განმარტებისა, მიღებულ იქმნეს მიწა ტყის კავშირის წევრათ.

ქ. ოზურგეთი (გურია).

ოზურგეთის სამ. პროფკავშირის სეკრეტარიატის ინიციატივით 31 მაისს ქალთა გიმნაზიის შენობაში მოწვეულ იქმნა ოზურგეთის რაიონის მასწავლებელთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ევგენი ვასაძე, მდივნათ ვ. ჩიტაიშვილი. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება პროფკავშირის მოძრაობაზე, 2) დროებითი კომიტეტის არჩევა, 3) მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. I—მოხსენებას აკეთებს ამხ. ნოე ქურიძე, რომელიც აშუქებს და არკვევს პროფესიონალურ კავშირთა მოძრაობის უკანასკნელ ეტაპს; განსაკუთრებით კი ეხება მასწავლებელთა პროფკავშირებს. II—კომიტეტში არჩეულ იქმნენ შემდეგი პირები: 1) ევ. ვასაძე, 2) პ. კვირკველია, 3) ვ. ჩიტაიშვილი, 4) პ. ქინქლაძე და 5) ვ. ჩიკაშუა. III—მასწავლებელთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ კამათის შემდეგ დადგენილი იქმნა, რომ დაევალოს ამ კითხვის სათანადოთ მოგვარება ახალ არჩეულ კომიტეტს.

ყარაჩოლელი.

ქიმიკოსთა კავშირში

კავშირის გამგეობამ განიხილა რა საკითხი შუშის ქარხნის მდგომარეობის შესახებ ავჭალაში, დაადგინა მიენდოს გამგეობას, თავმჯდომარის მეთაურობით მდივნის და ეკონომიურ განყოფილების გამგის დახმარებით, მოახდინონ დაწვრილებითი გამოკვლევა ადგილობრივ შუშის მდგომარეობის.

პროვინციაში

ქ. სენაკი

წვრილ-ბურჟუაზიული „დემოკრატები“, როგორც არიან ჩვენი მენშევიკები, მემარჯვენე ესერები და მათი მონათესავე ელემენტები ქ. სენაკში ავრცელებენ ხმებს: ვითომდა „ქემალისტებმა შემოუტიეს სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკას და აწ სომხეთი სულს ღაფავდეს.“ შემდეგ ბათუმში მათი აზრით „ბრძოლაა ქემალისტების წინააღმდეგ“ ო. ავრცელებენ უსინდისო, უსირცხვილო დემაგოგიას მუშათა კლასის მოღალატეები. მათ არ იკმარეს ეს, რომ ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელი პროლეტარიატის ქედი გათელეს სისხლიანი ქუსლით. ბურჟუაზიის გაუმაძღარი კუჭის საკითხის მოსაგვარებლად აბრძოლეს თავიანთი ძმების წინააღმდეგ მუშები: მოწამლული და მოშხამული ლიტერატურის, გაზეთების წამქეზებლების და კედია ფაჩულიას აგენტების საშუალებით იმსხვერპლეს საუკეთესო მუშის შვილები, გმირი მებრძოლები და დღეს, როდესაც ძალა უფლება მშრომელი ხალხის ხელშია გადასული, აქ კვლავ გამოდიან გაპირმშავებული ბურჟუაზიის ნაძირალები და თავიანთი სისხლიან ხელს უფათურებენ მუშებს ვითომცა ის მუშის შვილი იყოს. ჩვენ, მუშის შვილები ვამბობთ: შენ არა ხარ მუშის შვილი არამედ „იუდა ისკარიოტელი“ ხარ და ვერ მოატყუებ მუშებს ასეთი დემაგოგიით და ცრუ პროვოკაციით. ჩვენ ჯერ არავისთან გვაქვს ბრძოლა და არავინ გვეჩხუბება; თუ ვინმე მოისურვებს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას, ჩვენ საქართველოს მუშები, როგორც ერთი შევებრძოლებით მათ; მაგრამ ვინმეს მიერ ომის გამოცხადება ეს იქნება არა მარტო საქართველოს პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ მთელი მსოფლიო პროლეტარიატის, და თუ. ძლევა მოსილმა პროლეტარიატის წითელმა არმიამ წამოაჩოქა ანტანტის წინაშე—იცოდეს წვრილ-ფეხა პროვოკატორებმა, რომ ქემალისტები არ გაბედავენ პატარა სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას, ვინაიდან იციან საქართველო რა არის დღეს, და რას წარმოადგენდა მანამდის? ქემალისტები კი დღეს ნაციონალური განთავისუფლებისათვის ებრძვიან ევროპის იმპერიალისტების ჯარს; ვინაიდან არ სურთ გახადონ სათათრეთი, ყოველთვის დაჩაგრული, ევროპის კოლონიათ. მკითხველი დარწმუნდება იმაში, რომ მართლაც ავრცელებენ სიცრუეს პროვოკატორები ისეთს, რომელსაც ჩვენ უწოდებთ ლაჩრობას და მოუწოდებ „ბატონ დემოკრატებს“ დაანებონ თავი ლაჩრობას და შეუდგენ აღმშენებლობითი მუშაობას, თორემ ისეთი ავანტიურაში შესძრობით რომ ფეხებს მოიმტვრევთ გამოსვლისას.

ი. კიზირია.

ქ. სურამი.

წელს აქეთ თითქმის არსად იყო დატოვებულ-დაუმუშავებელი მიწის ნაჭერი. პირველ ხანებშივე მოსავალს კარგი პირი უჩანდა და მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ აიღო ხელი ბუნებამ მიწის მუშაზე. ეს რამოდენიმე ხანია, რაც განუწყვეტლივ ჰქრის ქარი და მიწის მუშა კი იმას უცდის აბა, როდის ჩავარდება და მის ადგილს დაიჭერს წვიმა, რომ იქნებ რამე მომავიდესო...

მაგრამ ქარი ისევ თითქმის ჯიბრზედ გრძელდება. ამ მოკლე ხანში, თუ ის შეწყდა და მისი ადგილი წვიმამ დაიჭირა, მაშინ კიდევ შეიძლება მოსავლის გადარჩენა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიწის მუშას თავისი ნაამაგარი არ დაუფასდება.

იაშა.

შორაპანი.

საზოგადოებებში თუ სოფლებში არსებობს კოოპერატივი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს თავის წევრებს შეძლებისდაგვარად სურსათით, აგრეთვე სხვა აუცილებელ საჭირო საოჯახო ნივთებით, რასაკვირველია დაკლებულ ფასებში ვინემ ბაზარშია.

ხშირი შემთხვევები ყოფილა წარსულში—კოოპერატივის თანხა საზოგადოების მიერ გამოღებული კოოპერატორებს ჩაუნთანთქავს, და დღესაც ეს ბედი ეწევა—თუ საიმედო და ნდობით აღჭურვილი პირები არ იქნებიან არჩეულნი კოოპერატივის ხელმძღვანელობაში; ამასთან დიდი თვალყურის დევნება და კონტროლია საჭირო ვისგანაც ჯერ არს.

შორაპნის მაზრის ერთ-ერთ კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს განზრახული ჰქონდა მიეცა თავის წევრებისთვის იგივე ხაზინადრისთვის ჯამაგირის მაგიერ (რადგანაც მან ჯამაგირის მიღებაზე უარი განაცხადა) დღეში ოთხი კვერცხი, ორი გირვანქა მჭადი და ნახევარი გირვანქა ლობიო. რომლის თანხაც უდრის 135000 მანეთს.

ამას რომელ თანხიდან აძლევდა! რასაკვირველია საზოგადოების მიერ ახლად გამოღებულ თანხიდან (პაიდან). ეს კოოპერატივი არა ერთხელ ყოფილა ძირ გამოთხრილი ყოფილ გამგეობის მიერ, და დღესაც ასეთი ბედი ეწევა, თუ ყველა გამგეობის წევრებმა და მათმა ნოქრებმა ისეთი მოთხოვნილება წამოაყენეს როგორც ზევით ვსთქვით, ამისათვის ყველა კოოპერატორებს დიდი სიფრთხილე მართებთ, თორემ საყვედურების და გადაყენების მაგიერ—უსასტიკეს სასჯელს მიიღებენ საზოგადოებისაგან.

წინწკილასპირელი.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“. ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—[illegible] ბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ზე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—42

მე-5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

სხვა და სხვა

ქ. თბილისის და თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატისთვის საჭიროა ერთი მასწავლებელი ქართული და რუსული ენაზე და ერთიც მდივანი სამხედრო კომისარიატისთვის, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ პირადათ სამხედრო კომისარს.

ანდრეევის ქუჩა № 53 დილის 10—2 საათამდე.

— თბილისის მაზრის რევკომი ამით აცხადებს, რომ თბილისის მაზრის მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებისათვის „მმაჩი“ საჭიროა მდივანი.

მსურველებს, რომლებმაც იციან ქართული ენა, შეუძლიანთ მიჰმართონ თხოვნით და წარმოადგინონ სათანადო საბუთები თბილისის მაზრის რევკომის მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებაში „მმაჩი“.

— ბორჩალოს სამაზრო რევკომის იურიდიული განყოფილება იწვევს იმ პირთ რომელთაც, აქვთ სურვილი მიიღონ სახალხო მოსამართლეების, გამომძიებლების და სასამართლოს აღმასრულებლების თანამდებობა ბორჩალოს მაზრაში, აგრეთვე ადგილებზე: მდივნებისა, საქმის მწარმოებლებისა, მემანქანეებისა, გადამწერებისა ანუ რეგისტრატორებისა, ბუღალტერიისა, მოანგარიშისა და სამეურნეო ნაწილის გამგისა განყოფილებაში. განცხადებებით მიმართონ 25 ივნისამდე 20 ს.—120. სასამარ. დაწეს. შენობაში (სასამართლოს ქ.) თბილისის მაზრ. მომრიგ. მოსამ. ყრილობაში, ზემო სართული, და იკითხონ განყოფ. გამგე ხუციშვილი. 25 ივნისს შემდეგ განცხადებები მიმართული იქნენ სათანადო საბუთებით ან ეკატერინოფელდში ბორჩ. სამაზ. რევკომ. იურიდიული განყოფილებაში.

სახალხო განათლების კომისარიატი

ამით აცხადებს თბილისში მყოფ იმ მასწავლებელთა საყურადღებოდ, რომელთაც უმუშავნიათ ან მუშაობენ ბავშვთა თავშესაფარებში, საბავშვო მოედნებზე, საბავშვო სახლებში, ბავშვთა დროებითსა და მუდმივს ახალშენებში და საბავშვო ბაღებში ან აქვთ საამისოდ სპეციალური ცოდნა და გამოცდილება,—გამოცხადდენ საერთო რეგისტრაციისათვის სახალხო განათლების კომისარიატში (ლორის-მელიქოვის ქუჩა ქალთა გიმნაზია) სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის განყოფილებაში. საერთო კრება ყველა ზემოხსენებულ მასწავლებლების მოხდება კვირას, 26 ივნისს საღამოს 6 საათზე.

პარასკევს 24 ივნისს

მუშათა ცენტრალურ კლუბში, პლეხანოვის ქუჩა № 123. საღამოს 6 საათზე, შესდგება მე-2 რაიონის წევრების და კანდიდატების კრება. დასწრება ყველა ამხანაგებისა აუცილებელია.

ჟურნალი „ლახვარი“

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი“.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების საგიტაციო განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 5000 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.